ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

სამშაბათი, 8 თებერვალი 1921 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთის ფასი თვეში 500 მანეთი. ცალკე ნომერი მხოლოდ 20 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე [illegible] სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (1 × 2) 500 მანეთი. ნიხსით განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და [illegible] ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის [illegible]

№ 29 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 29

ღრმად დამწუხრებულნი, თავზარდაცემულნი ელისაბედ, ეფემია და ნინო ბესარიონის ასულნი და პლატონ ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ პარასკევს, 4-ს ამა თებერვალს, გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ძმა

დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი

წირვა და პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

იუსტიციის სამინისტრო მწუხარედ აცხადებს, რომ საქართველოს სენატის პირველი თავმჯდომარე

დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი

გარდაიცვალა 4 თებერვალს, ღამის თერთმეტ საათზე, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ს. პეტრედიდის ქ. სახლი № 22, ბინა 1. გამოსვენება ბინიდან სადგურზე 7 ამა თებერვალს, შუადღის 12 საათზე, დაკრძალვა ქ. ქუთაისში წმინდა გიორგის ეკლესიაზე 9 თებერვალს. (486 2 2)

4 ს ამა თებერვალს გარდაიცვალა საქართველოს სენატის თავმჯდომარე

დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი

რასაც საქართველოს სენატი ღრმა მწუხარებით აუწყებს რესპუბლიკის სასამართლო დაწესებულებათ და საზოგადოებას. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, განსვენებულის ბინაზე, პეტრედიდის ქუჩა, № 22; რკინის გზის სადგურზე გამოსვენება ორშაბათს, 7 თებერვალს, დღის 12 საათზე, დაკრძალვა ქ. ქუთაისში, წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში 9 თებერვალს. (483 2—2)

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი სიდედრი ელკე ანდრია რომანოზის ასული აბაშიძისა, ქვისლები ალექსანდრე სვიმონის ძე და ალექსანდრე არტემის ძე, ცოლის დები ნინა და მართა შიოს ასული, ცოლის ძმა ალექსანდრე შიოს ძე და ცოლის დის შვილები ნინა, ვასილი და თამარა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათი საყვარელი

ოლიფანტე ანტონის ძე ჩოლოყავას

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება მოხდება 10 ამა თებერვალს დღითი ხუთშაბათს ნაშუადღევს 4 საათზე ლოტკინის შესახვევი № 1-დან დაკრძალვა მოხდება იმავე დღეს წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (492—2—1)

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მეუღლე ანნა შიოს ასული [illegible] ჩოლოყავასი, დედა ანასტასია, მამა ანტონი, ძმა თომა, რძალი დარია, ძმისშვილები: ლევანი და დავითი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მათი ძვირფასი

ოლიფანტე ანტონის ძე ჩოლოყავას

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება 10 ამა თებერვალს დღითი ხუთშაბათს ნაშუადღევს 4 საათზე, ლოტკინის შესახვევი სახლი № 1 დან დაკრძალვა მოხდება იმავე დღეს წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (492—2—1)

საქართველოს სენატი ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ სენატის თავმჯდომარის გარდაცვალებულ

დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილის

ცხედრის დაკრძალვა მოხდება აქ, ქ. თფილისში, საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში, სამშაბათს, 8 თებერვალს, წესის აგება —ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, იმავე დღეს წირვის დასაწყისი დილის 9 ნახ. საათზე. (483—2—1)

ქუთაისის ნაფიც ვექილთა კორპორაცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მათის კორპორაციის ყოფილ წევრის საქართველოს სენატის თავმჯდომარის დაუვიწყარ

დავით ბესარიონის ძის ხელთუფლიშვილის

გარდაცვალებას. (497—1—1)

უზომო მწუხარებით ალვსილნი: კატო დავითის ასული ქადიეშვილისა შვილებით: ელენე, მარიამ, ნინა, ოლია, ვასო, ვალოდია გრიგორი, მოსიკო მეუღლეებით: ელპიტე მაშო, თამრო და ეუმანკო. გერასიმე მაქსიმეს ძე წულაძე, ბესარიონ პავლეს ძე შენგელია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის მაზლის მეორეების ბიძის,

ნიკოლოზ ოთარის ძე ქადიეშვილის

უდროოდ გარდაცვალებას ქ. ოზურგეთში. დაკრძალვის დღე კერძოთ იქნება გამოცხადებული. (500 1—1)

4 თებერვალს ქ. თფილისში გარდაიცვალა ქართველი მცხოვანი მწერალი-ბელეტრისტი დეკანოზი

ნიკოლოზ გიორგის ძე ნათაძე (მელანია)

რასაც აუწყებს ქართველ საზოგადოებას დროებით დამკრძალავი კომიტეტი. პანაშვიდები ყოველ დღე განსვენებულის ბინაზე: იზმაილოვის ქ. № 11. საღამოს 7 საათზე. გამოსვენება სამშაბათს 8 თებერვალს საღამოს 5 საათზე სიონის ტაძარში, ოთხშაბათს ცხედარს წირვის და ანდერძის აგების შემდეგ გაასვენებენ სადგურზე სოფ. მელაანში წასასვენებლად და დასაკრძალავად. განსვენებულის სურვილით კუბო გვირგვინით და ყვავილებით არ შეიმკება. (უ. 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე—ირინე ბეჟანის ასული ქადიეშვილისა, შვილები მარო, კატო, ალექსანდრე, ლადიკო, ვანო, ილიკო, აკაკი და სოსიკო, დები: სოფიო და ქრისტინე, რძალი ნინო მარკოზის ასული ქადიეშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 5 თებერვალს, გარდაიცვალა მათი ძვირფასი ადამიანი

ნიკოლოზ ოთარის ძე ქადიეშვილი

დაკრძალვის დღე და პანაშვიდი კერძოთ იქნება გამოცხადებული.

გრიგოლ ყაისაროს ძე და ეკატერინე ივანეს ასული გორდელაძეები პატარა ქალით თინიკოთი და ნინო ივანეს ასული ბოძიევისა უგულითადეს მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირთ, რომელთაც პირადი დასწრებით, ან წერილობით ანუგეშეს მწუხარებისა შინა მყოფი მშობლები და დიდედა საყვარელი შვილის პატარა

რეზოს

გარდაცვალების გამო. (490 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი, და გულდათუთქულნი: მეუღლე მარიამ გლახუას ასული, შვილები: ერმოლოზი, კონსტანტინე იოსები და მიხეილი, სიმამრისშვილი მალაქია გლახუას ძე ნატბილაძე, ცოლის ბიძაშვილები: ერმილე და დიანოზ თომას ძე ნატბილაძეები, რძალი მარიამ დიმიტრის ასული აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 6 თებერვალს, ღამის 10 საათზე, გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

სიმონ ლუკას ძე გაბრიჩიძე

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, თავის საკუთარ ბინაზე ვერის დაღმართზე № 21. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (506 1 1)

გულმოკლულნი და მწარედ დამწუხრებულნი, ბაბუა ივანე და ბებია ელისაბედ და ბიძა ალექსანდრე თავართქილაძენი გულითადის მწუხარებით აცნობებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 6 თებერვალს, გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და საყვარელი

ჟენია თავართქილაძე

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია 8 თებერვალს, დილის 12 საათზე. დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე. მისამართი პასტერის ქ. № 8. ბინა 3. (495 1—1)

გაუბედურებულნი და გულმოკლულნი მშობლები ვლადიმერ ივანეს ძე და ევა თედორეს ასული თავართქილაძენი შვილებით ლიუბა, თამარა და ირინა ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 6 თებერვალს გარდაიცვალა მათი უძვირფასესი და საყვარელი

ჟენია თავართქილაძე

პანაშვიდი ყოველ დღე დილის ათ საათზე და საღამოს ხუთ საათზე. დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზედ, სამშაბათს 8 თებერვალს, ახალი სტილით დილის 12 საათზე. პასტერის ქუჩა, სახლი № 8 ბინა 3. (495 1—1)

გუჯარის თემის გამგეობა აცხადებს

რომ თემისთვის საჭიროა

გამოცდილი ფერშალი

სავალდებულოა ქართული ენის ცოდნა. ჯამაგირი შეთანხმებით. მიმართეთ სად საჯაოხო, გუჯარის თემის გამგეობას. (476—2—2)

სახელმწიფო ოპერა

სამშაბათს 8 თებერვალს

დონ-ჟუანი

ოთხშაბათს 9 თებერვალს **დალატი**. ხუთშაბათს 10 თებერვალს **კარნავალი**. პარასკევს 11 თებერვალს **ჰუგენოტი**. დასაწყისი სრულ 8 ს.

(ნ. 1—1)

რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა ახდენს რესპუბლიკაში

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა და ომში დაღუპულ მეომართა ობლების სრულ აღწერას რისთვისაც საჭიროა

ინსტრუქტორები

ყველა მაზრებისათვის, გარდა ზუგდიდისა. ჯამაგირი მიეცემათ თვიურათ 40,000 მან. წარმოდგენილი უნდა იქნას საიმედოების საბუთები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან. ინსტრუქტორი უნდა იყოს იმ მაზრის მცხოვრები, რომელშიაც ის მუშაობას იკისრებს. ცნობების მიღება სწარმოებს კავშირის ბინაზე ყოველ დღე ქ. თფილისში, პლეხანოვის პრ. № 139, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ.

(ნ. 14—6) გამგეობა.

საჭიროა

წისქვილის ქვები

8 დიამეტრით 28 ვერშოკი და 4 დიამეტრით 26 ვერშოკი, ქვები უსათუოდ მაგარი თვისების უნდა იქნეს. მისამართი: საქ. სახაზინო რკინის გზების სასურსათო კომიტეტში, ელისაბედის ქ. № 200, რწმუნებულს ი. ბოლქვაძეს.

(ნ. 3—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

სამშაბათს, თებერვლის 8-ს

პირველად **ზერდო-ზმანია**

ხუთშაბათს, თებერვლის 10-ს პირველად

რაც გინახავს ველარ ნახავ

კვირას თებერვლის 13-ს

პირველად **ალლუმი** პირველად

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები კასაში. (ნ. 1—1)

ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების ზედამხედველი კომიტეტი

თანახმად სამხედრო მინისტრის ნებართვისა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 25 თებერვალს ამა 1921 წლისა დილის 12 საათზე, საზოგადოების შენობაში (კირკის ქუჩა № 7) დანიშნულია რწმუნებულთა წლიური

საერთო კრება

განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. მოხსენება ზედამხედველი კომიტეტის, გამგეობის და სარევიზიო კომისიის.
2 1919 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.
3. 1920 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.
4. 1921 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
5. ახალი წესდების განხილვა და დამტკიცება.
6. მიმდინარე საკითხები.
7. ადმინისტრაციის დამატებითი არჩევნები. (ნ. 3—1)

რესპ. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის მიერ შედგენილი ა. წ. 10 თებერვლამდე გამოვა

[illegible] ბედლის კალენდარი

სუფთად და [illegible] ქაღალდზე დამზადებული და [illegible] ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა ცხოვრების ეპიზოდებით. [illegible] შეიძლება კავშირის ბინაზე პლეხანოვის პრ. № 139.

(ნ. [illegible]) გამგეობა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქუთაისის მაზრის ორგანიზაციებს

შაბათს, 12 თებერვალს საღამოს 5 საათზე ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულ კლუბში დანიშნულია ქუთაისის მაზრის

სოციალ-დემოკრატიული

კონფერენცია

კონფერენციისათვის მიღებულია შემდეგი დღის წესრიგი:

1. მიმდინარე მომენტი.
2. პარტიული კონფერენციის დადგენილებანი.
3. მოხსენება სამაზრო კომიტეტისა.
4. „ სარევიზიო კომისიისა.
5. „ სამაზრო ერობის მუშაობის შესახებ.
6. პარტიული მუშაობა.
7. მომავალი არჩევნების სამზადისი.
8. გაზეთი.
9. სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
10. მიმდინარე საკითხები.

ადგილობრივი ორგანიზაციები ყრილობაზე გზავნიან დელეგატებს თითოს ყოველ ორას წევრზე. უფლება ეძლევა კონფერენციაზე ერთი დელეგატის გამოგზავნის იმ შემთხვევაშიც, როცა პარტიის წევრთა რიცხვი ორგანიზაციაში ორასზე ნაკლები ითვლება. დელეგატთა არჩევის წესს თვით ადგილობრივი ორგანიზაცია იმუშავებს.

ქუთ. სამაზრო კომიტეტი საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიისა.

(ნ. 6—2)

ახალის ტალახით

სამკურნალო

ექიმ

მ. ს ზერნოვისა

კირპიჩნი შესახვევი № 13, ბელინსკის ქუჩასთან. (22 თებ.)

პარტიული დისციპლინა

იმ აღმაშფოთებელმა საქციელმა, რომელიც ჩაიდინეს ყოფილმა ამხანაგებმა, ყველა უნდა ჩააფიქროს. პარტიაში ორი აზრი არ უნდა არსებობდეს ამის შესახებ. ყველა პარტიის წევრმა და გულშემატკივარმა უნდა კარგათ გაიგოს და დააფასოს მომხდარი ამბის აზრი და მნიშვნელობა.

არიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვეულებრივი ამბავი მოხდა. გაჩნდა პარტიაში (უკეთ რომ ვსთქვათ—სოც. ფრაქციაში) ოპოზიცია და დაუპირდაპირდა „პოზიციას“. ბრძოლის დროს ორივე მხარემ ჩაიდინა უკიდურესობანი და გადაჭარბება. ახლა ეს უკიდურესობანი უნდა შესალბილდეს, ორივე მხარე დათმობაზე უნდა წავიდეს და ყველაფერი კეთილათ დაგვირგვინდება. ვინც ასე ფიქრობს, იმათ ჩვენ უნდა ვუთხრათ, რომ ეს დიდი შეცდომაა.

მართლაც, ვიკითხოთ რა მოხდა?

მოხდა ის, რომ სოც. დემოკრატიული ფრაქციის ზოგიერთი წევრი პირდაპირ აუჯანყდა პარტიას და მოისურვა მისი ნება-სურვილის შელახვა. ამ პირებმა ისე წარმოიდგინეს, რომ დეპუტატობა თითქო მათ ანიჭებდა მოქმედების სრულ თავისუფლებას. ამიტომ ისინი მუდამ ებრძოდენ ცენტრალური კომიტეტის გავლენას სოც.-დემოკრატიულ ფრაქციაზე. მათ მომაკვდინებელ ცოდვათ მიაჩნდათ, რომ ცენტრალურ კომიტეტს ვეტო დაედვა სოც.-დემ. ფრაქციის რომელიმე გადაწყვეტილებაზე. ჩვენ აქ (ფრაქციაში) ასი კაცი ვართ და ცენტრალური კომიტეტი რითი უნდა გვჯობნიდესო—ხშირათ გაიგონებდით მათგან ასეთ ახირებულ აზრს. ამ „ობივატელურ“ მსჯელობაში იმალება დიდი ანტი-პარტიული მიდრეკილება და პარტიის სრული უარყოფა.

ცენტრალური კომიტეტი ყრილობის შემდეგ პარტიის უმაღლესი დაწესებულებაა. ის არის მისი ხელმძღვანელი, მისი მებაირახტრე და გამაერთიანებელი. შეიძლება არ მოგწონდეს ცენ. კომ. შემადგენლობა, შეიძლება იწუნებდე მის წევრებს,—ეს ყველაფერი შესაძლებელი და დასაშვებია, მაგრამ ყოვლად შეუწყნარებელია მას ებრძოდე და უარყოფდე იმიტომ, რომ ის ცენტრალური კომიტეტია, უარყოფდეს მის უფლებას, რომ დირექტივები მისცეს სოც. დემოკრატიულ ფრაქციას.

ამნაირათ ხომ ყველაფრის უარყოფა შეიძლება? და აკი მართლაც ასეთ აბსურდამდი მივიდენ „ახ. სხივის“ დღევანდელი მეთაურები. დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, რომ სწორეთ „ახ. სხივის“ ჯგუფი არ დაემორჩილა პარტიული ყრილობის დადგენილებებს და განაგრძო იმაზე მსჯელობა და დავა, რაც ყრილობამ გადაჭრილათ აღიარა. ისინი არ დაემორჩილნენ ფრაქციას და როცა ეს თავისთვის საჭიროთ დაინახეს, დამფუძნებელ კრებაშიაც გამოვიდენ მის წინააღმდეგ. ბ. მ ხოჭოლავა თავის ქებით აღნიშნავდა დამფ. კრების ტრიბუნიდან, რომ იგი ხშირათ ფრაქციის გადაწყვეტილების წინააღმდეგ აძლევდა ხმას. ბ. კ. ნინიძე გამოეთიშა ფრაქციას თავისი კერძო საქმის გამო და რენეგატული თავდავიწყებით ლანძღა ტრიბუნიდან პარტია და მისი ხელმძღვანელები. მტრებთან ერთად ფრაქციის დადგენილების წინააღმდეგ ხმის მიცემა ზოგიერთმა დეპუტატმა ამ ბოლო დროს ჩვეულებათ გაიხადა. მათ გაიჩინეს საკუთარი ბეჭვდითი ორგანო, სადაც ყოველივე ამას ამართლებდნენ და პარტიისა და მის მიერ საპასუხისმგებლო ადგილებზე გაგზავნილ ამხანაგებს ულირსოდ ამკობდნენ. უკანასკნელათ გაზ. „ახ. სხივში“ მათ წამოაყენეს ისეთი დებულებანი, რომელთაც სოციალ-დემოკრატიასთან არაფერი საერთო არ აქვთ.

პარტიულმა კონფერენციამ ყოველსავე ამაზე დაწვრილებით იმსჯელა და პარტიული დისციპლინის შესახებ ვრცელი და გარკვეული რეზოლიუცია მიიღო.

მერე დაემორჩილენ ისინი კონფერენციის დადგენილებას?

პირიქით, კიდევ უფრო მედგრათ აუმხედრდენ პარტიას და კონფერენციის სახელის გატეხას შეუდგენ. ახლა ეს ვაჟბატონები „ახ. სხივში“ ამტკიცებენ, რომ ეს საკითხები პარტიულ ყრილობას უნდა გადაეჭრა.

ჯერ ერთი, ილიკო ფირცხალაიშვილის, კ. ნინიძის და კომპ. საქციელის გასარჩევათ პარტიული ყრილობის მოწვევას დღევანდელ პირობებში მხოლოდ გონება-დაკარგული ადამიანი მოითხოვს. მერე ესეც რომ არ იყოს, რა გარანტია გვექნებოდა ჩვენ, რომ ისინი ყრილობის გადაწყვეტილებას დაემორჩილებოდენ?

აკი ივნისის ყრილობის დადგენილება მათ არარათ მიაჩნიეს? მათ რომ დაუჯეროთ, ცენტრალური კომიტეტი დიქტატორებისაგან შედგება, ფრაქცია მთავრობის ყურმოჭრილი მონაა, კონფერენცია ზევიდან დანიშნული პირებისაგან შესდგებოდა, ივნისის ყრილობა არ ვარგოდა, პარტიულ ორგანიზაციებში მოხელეები სხედან. ასე გაამასხარავეს ყველაფერი რენეგატებმა და ახლა სადემაგოგიოთ პარტიულ ყრილობის სახელს ეფარებიან.

გასაკვირალი ის კი არ არის, რომ ეს პირები პარტიიდან გაძევეს. გასაკვირალი ის არის, რომ ამდენხანს ითმენდა სოციალდემოკრატიული პარტია თავის წრეში ამ თავგასულ ხალხს.

წინათ, როცა ჩვენი პარტია არა-

ლეგალურათ არსებობდა, საკმაო იყო პარტიული დისციპლინის უბრალო დარღვევა, რომ დამნაშავეს პარტიაში ადგილი არ ქონებოდა. ამას მოითხოვდა ჩვენი ინტერესი. რკინის დისციპლინა ჩვენ საშუალებას გვაძლევდა მაშინ გავქცეოდით ცარიზმის რეპრესიებს და სარდაფში ჩამწყვდეულთ, ჟანდარმერიისაგან დევნილთ და შევიწროვებულთ ადვილათ მოგვეგერებია მოწინააღმდეგე პარტიების იერიშები:

ჩვენ ახლა ლეგალური პარტია შევიქენით და ძალა-უფლება ხელში ჩავიგდეთ, ყველგან, ყველა დაწესებულებაში ჩვენი პარტია ბატონობს.

რას გვავალებს ჩვენ ეს მდგომარეობა?

შემცირდა თუ არა ამით ჩვენი პარტიისათვის საჭიროება მკაცრი დისციპლინისა და მთლიანი და ერთსულოვანი მოქმედებისა? პირიქით, არასოდეს სოციალ-დემოკრატიას არ სჭიროდა ისეთი რკინის დისციპლინა, როგორიც დღეს სჭირია. პარტია იძულებულია როგორც საზოგადოებრივ, ისე მთავრობის დაწესებულებებში თავისი წევრები ჩაყენოს. ყველა წარმომადგენლობითი ორგანოებში სოციალ-დემოკრატია უმრავლესობას შეადგენს. პასუხისმგებლობა ყველგან და ყველაფერში ჩვენს პარტიას აწევს თავზე. ახლა ერთ წამს წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ერობისა და ქალაქების ხმოსნებმა, გამგეობის წევრებმა, პარლამენტის დეპუტატებმა, მინისტრებმა, კოოპერატივების, პროფესიონალური კავშირების, და სხვათა მოღვაწეებმა—ჩვენი პარტიის წევრებმა თავის თავი ავტონომიურათ გამოაცხადონ, პარტიული ორგანიზაციების დირექტივები და ხელმძღვანელობა უკუ აგდონ და აკეთონ ის, რაც მათ მიესურვებათ და ესიამოვნებათ. მაშინ ხომ მოისპო პარტია და მისი პოლიტიკა და წინ წარმოდგენ ცალკე პირები თავისი საკუთარი სურვილებით და გეგმით?

აი, საითკენ მოგვყავართ ჩვენ „ახ. სხივის" პოზიციას.

ეს არ არის პოზიცია კრიტიკის და პარტიის გაჯანსაღების, როგორც ისინი ფარისევლურათ ამტკიცებენ. არა, იგი პარტიის გატეხების პოზიციაა.

ამას ვერასოდეს ვერ შეურიგდება პარტია. იგი ვერ მოითმენს თავის წრეში ისეთ პირებს, რომელნიც თავის მოქმედებით მას გულს უღრღნიან და ასუსტებენ. პარტიის ნდობა მათ პარტიისავე წინააღმდეგ მიმართეს.

ყოვლად დაუშვებელია, რომ პარტიის წარმომადგენელი, რომელიმე დაწესებულებაში არის იგი, ერობისა და ქალაქის ხმოსანი, გამგეობის წევრი, დეპუტატი თუ მინისტრი,—პარტიას და მის დირექტივებს არ დაემორჩილოს. განსაკუთრებით ეს დეპუტატზე ითქმის. იგი წარგზავნილია პარტიის მიერ საპასუხისმგებლო ადგილას; პარლამენტის ტრიბუნა პოლიტიკურ ცხოვრებაში იგივეა, რაც სამხედრო მოქმედებისათვის ფრონტზე ბრძოლის პირველი ხაზი—მოწინავე პოზიცია. აქ მოაქვს მტერს პირველი იერიშები და აქ არის საჭირო ყველაზე მეტი სიმტკიცე და ერთსულოვნობა. უბრალო რყევა აქ მებრძოლთა შორის მტერს გამარჯვებას ანიჭებს. მით უფრო დაუშვებელია ასეთ ადგილას მოღალატეების გაჩენა.

და აი, პარტიამ გარიცხა ოთხი დეპუტატი, ოთხი მოღალატე და პარტიული ოჯახის ამრევი.

ვინც პარტიისკენ არის, ვისაც მისი ბედ-იღბალი აინტერესებს, ვისთვისაც სოციალ დემოკრატიული პარტია ძვირფასია, ვინც შეეზარდა და შეესისხლხორცა მას იდეით და სულით,—ის სიამოვნებით მიეგებება ამ ფაქტს, როგორც პარტიის გამაჯანსაღებელს და მისი პრესტიჟისა და სახელის ამწევს.

პრესა

„ახალი სხივის" რენეგატები ყოველ სიტყვაში, ყოველ სტრიქონში აცხადებენ, რომ ისინი რაღაცა გაუგებრობით მოხვედრილან ჩვენს პარტიაში, რომ მათ აქ ადგილი არ ჰქონიათ. მათ არ ესმით პარტიობის ანბანი, წარმოდგენა არა აქვთ, რაა პარტია, პარტიული დისციპლინა, პარტიული წესიერება. ყველაფერი ეს აშკარად ჩანს ამ გაზეთის უკანასკნელ ნომერში მოთავსებული წერილებიდან.

ც. კ-ტმა კონფერენციის დადგენილების თანახმად გამოაცხადა პარტიის მიერ ანტი-პარტიულ ორგანოდ ცნობილ „ახ. სხივის" ხელმძღვანელებმა ან უარი უნდა სთქვან ამ გაზეთის ხელმძღვანელობაზე ან პარტიის გარეთ უნდა დარჩნენო. ამ განცხადების გამო „ახ. სხივი" ასე სწერს:

„ერთი კვირაა აცხადებენ: თუ ოპოზიციის თანამგრძნობნი („ახ. სხ."-ის თანამშრომელნი, დამფ. კრების ფრაქციის დეპუტატები და სხ.) მონანიების ქაღალდს არ შეიტანენ მათ, პარტიის გარეშე გამოცხადდებიანო. სამარცხვინო იყო ეს მოთხოვნა! ასე ექცეოდნენ ძველად რევოლიუციონერებს, როდესაც მათ წინ დადებით მიმართავდნენ ხელწერილი დაედვათ, რომ ისინი რევოლიუციონერობაზე ხელს იღებდნენ".

ასეთი მ[illegible] ჯილობა, ასეთი შეღავ[illegible] [illegible] შეუძლიან [illegible]

[illegible] როვნებს, რომელსაც არაფერი გაეგება პოლიტიკისა, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს პოლიტიკურ საკითხებზე. მართლაც და რა პარალელის გატარება შეიძლება ამ მოთხოვნის შორის, რომელსაც ც. კ—ტი უდგენს პარტიის წევრებს, და იმის შორის, რასაც რეაქცია მოსთხოვდა რევოლიუციონერებს? რეაქცია ეუბნებოდა: უარი სთქვი შენს პარტიულ რწმენაზე, თორემ ციხეში ჩაგსვამ, კატორღაში გაგგზავნი, ცოლშვილს აგიწიოკებ; თუ უარს იტყვი კი, ამ ქვეყნის ყველა სიკეთენი შენს ხელთ არისო. ც. კ—ტი კი ეუბნება პარტიის წევრებს; თუ გნებავს პარტიაში ყოფნა, მის წესებს უნდა დაემორჩილო; არ გინდა დაემორჩილო, და გზა მშვიდობისაო. **პარტიაში ყოფნა არავითარ ამა ქვეყნის სიკეთეს არ გპირდებათ, პარტიიდან გასვლა—არავითარს ტანჯვა წამებას.**

ძველი მთავრობა ძალადობდა რევოლიუციონერების სინდისზე; ც. კ—ტის განცხადება კი პიროვნების **სრული თავისუფლების გამოხატულებაა.** ამას ვერ გაიგებს მხოლოდ რენეგატი, რომელიც პარტიის თითო შავად ხედავს.

— —

რენეგატული ბუნება „ახალი სხივისა" სტუდენტების გამოსვლაშიაც გამოაშკარავდა. არავისთვის არ არის საიდუმლო, თუ სტუდენტობის რომელმა ნაწილმა მოახდინა ეს გამოსვლა დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ. ეს იყო მხოლოდ და მარტო **ფედერალისტური** ნაწილი სტუდენტობისა. მისმა სოციალ-დემოკრატიულმა ფრთამ სასტიკად დაგმო ფედერალისტების ეს ნაბიჯი და კონტრ-რევოლიუციურად მიიჩნია იგი. „ახალი სხივის" რენეგატები კი აღტაცებაში მოსულან ფედერალისტების მიერ გაბრიყვებული სტუდენტობის ნაწილის გამოსვლით.

„სტუდენტობის დემონსტრაცია მრავალ მხრივ არის სიმპატიური და დამაფიქრებელი.

ეს პირველი საპროტესტო დემონსტრაციაა რევოლიუციის შემდეგ ეტყობა, რომ მმართველთა წრის ზოგიერთ გათამამებულ წევრთა საქციელს ერთობ შეულახავს საზოგადოების სინდისი და ამ საზოგადოების ყველაზე უფრო სათუთი და მგრძნობიარე ნაწილი—მოსწავლე ახალგაზრდობა ქუჩაში გამოდის საპროტესტოთ... ჯერ ჯერობით კი ხმა ამოიღო მხოლოდ სტუდენტობამ.

ჩვენ არ გვსურს, რომ ახალგაზრდობამ ჩაიკეტოს ლაბორატორია-სემინარიების კარები და სრულიად მოსწყდეს საზოგადოებრივ ცხოვრებას. არა, ჩვენ გვინდა ჩვენმა უნივერსიტეტმა აღზარდოს მეცნიერულ და პრაქტიკულ მოღვაწესთან ერთად ნამდვილი მოქალაქე და ამ მხრივ სტუდენტობის გამოსვლას ჩვენ მივესალმებით".

რევოლიუციურმა ნაწილმა სტუდენტობისამ ეს გამოსვლა მიიჩნია კონტრ-რევოლიუციურად. „ახალი სხივი" კი მას „მიესალმება". თფილ. პროლეტარიატმა ფედერალისტ-სტუდენტების დემონსტრაცია თავის საწინააღმდეგო დემონსტრაციად ჩასთვალა. „ახალი სხივი" კი თანაგრძნობას უცხადებს პროლეტარიატის მოწინააღმდეგე ახალგაზრდობას. ასეთია ლოღიკა რენეგატობისა: ვინც თავის პარტიას უმტრობს, იგი მოწინააღმდეგეთა ბანაკში პირველ ადგილს დაიჭერს. „ახ. სხივს" ეგონა, მხოლოდ ც კ-ტს ვეურჩებითო. მაგრამ დისციპლინის დარღვევით იგი ეურჩა პარტიას და მტრულად დაუპირდაპირდა პროლეტარიატს და სტუდენტობის რევოლიუციურ ნაწილს.

„ახ. სხივი" ჩვენი დემოკრატიის მიერ შექმნილ უმაღლეს ორგანოს—დამფუძნებელი კრების—წინააღმდეგ ამხედრებს ხალხს. სტუდენტების დემონსტრაციას იგი ასე უყურებს:

„მეორე მხრივ ეს საპროტესტო დემონსტრაცია მაჩვენებელია იმისა, რომ საზოგადოება სრულის ნდობით არ ეპყრობა დამფ. კრების უმრავლესობის ყოველს ნაბიჯს".

ჩვენ კიდევ უფრო მეტს ვეტყვით: დამფ კრების **მთელს პოლიტიკას** უნდობლად უცქერის (არა მთელი „საზოგადოება", როგორც ეს მოუნდომებია „ახალ სხივის" რენეგატებს, არამედ) ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც დემოკრატიის წინააღმდეგ ირაზმება. მაგრამ რა გაეწყობა: დამფ კრების **უმრავლესობის პოლიტიკა ხალხის უმრავლესობის** სურვილზეა აგებული. და უმცირესობა, რომელსაც შეადგენენ ერ.. დემოკრატები, ესერები, ფედერალისტები და დაშნაკელები და რომელთა ჯგუფშიაც ამიერიდან წინა რიგებში ჩადგებიან „ახ. სხივის" რენეგატები, იძულებულნი გახდებიან ხალხის $^9/_{10}$-ის ნებას დაემორჩილონ.

დიდი დღესასწაული

6 თებერვალს თფილისის დემოკრატიამ მუშათა კლასის და შეიარაღებული ძალების მონაწილეობით ბრწყინვალედ იდღესასწაულა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ახალი და უდიდესი გამარჯვება—ევროპის სახელმწიფოთა მიერ მისი იურიდიული ცნობა. მიუხედავათ იმისა, რომ ამინდი მეტად ცუდი იყო, ციოდა და თოვლჭყაპი იყო, აუარებელი ხალხი გამოეფინა გარეთ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებათ.

დილიდანვე ხალხმა იწყო დენა რუს[illegible]თაველის პროსპექტისკენ, სადაც 12 საათისათვის უკვე ლამაზად გამწკრივდნენ პროფესიონალური კავშირები და მოწაფეები. მათ ფარავდა ტყე დროშებისა. პირველი საათის ნახევრამდის სასახლეში მთავრობის თავმჯდომარე იღებდა მილოცვებს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან.

ამის შემდეგ გამოდიან მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე. პირველად მთავრობის თავმჯდომარე, რომელსაც უკან მისდევდნენ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები, დამფუძნებელი კრების და მთავრობის წევრები, შევიდა ყოფილ სამხედრო ტაძრის გალავანში, სადაც იყო გამართული ჯარის და გვარდიის სხვადასხვა ნაწილების პარადი. საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენდა ჯარი, სილამაზე და სიკოხტავეში ერთმანეთს ეცილებოდნენ ჯარის და გვარდიის სხვადასხვა ნაწილები. უკრავდა რამოდენიმე ორკესტრი ერთად. ჯარისკაცები და გვარდიელები ხნედ და მამაცურად გამოიყურებოდნენ და ხალხს მომავლის იმედს უმტკიცებდნენ. პარადი მიიღო მთავრობის თავმჯდომარემ, რომელმაც ჯარს და გვარდიას მოკლე სიტყვით მიულოცა საქართველოს რესპუბლიკის ევროპის სახელმწიფოთა მიერ იურიდიულად აღიარება. მან სხვათა შორის სთქვა: „საქართველოს მთავრობა, ხალხი და მისი შეიარაღებული ძალა პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას ყველას წინაშე, ვაშა საქართველოს შეიარაღებულ ძალას". მთავრობის თავმჯდომარის სიტყვებს ფარავს ჯარის და გვარდიის „ვაშა"-ს ხანგრძლივი ძახილი და მუსიკის გუგუნი.

პარადის მიღების შემდეგ მთავრობის თავმჯდომარე, დამფუძნებელი კრების და მთავრობის წევრები, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ერთად ადიან დამფ კრების წინ საგანგებოთ მოწყობილ ტრიბუნაზე. რომლის წინ იწყობ ბრივ და ლამაზად გაიარეს ჯარის და გვარდიის ნაწილებმა, „შევარდენის" მოწაფეებმა და მუშათა პროფესიონალურმა კავშირებმა წითელი დროშებით.

ამის შემდეგ ხალხი მოზღვავდა ესტრადასთან და გაიმართა დიდი მიტინგი, რომელიც გახსნა მ. ძამაშვილმა. პირველად ხალხს დღესასწაული მიულოცა ნ. ჟორდანიამ, რომლის გამოსვლას მხურვალე და ერთსულოვანი ტაშით შეხვდა მრავალრიცხოვანი მიტინგი, მის სიტყვებს ფარავდა ტაში და „ვაშას" ძახილი. მან, სხვათა შორის, სთქვა: „ჩვენი სახელმწიფო ცნობილ იქნა რუსეთის მიერ, შემდეგ ის იცნეს ევროპის სოციალისტურმა კონგრესებმა და შემდეგ კი ევროპის სახელმწიფოებმა; აქედან თქვენ ხედავთ რომ ჩვენს საქმეში ყველანი შეერთდნენ. ცხადია, ჩვენ მივდიოდით სწორი გზით, არ გაგვიკეთებია ისეთი შეცდომები, რომელსაც შეეძლო საფრთხეში ჩაეგდო ჩვენი სახელმწიფოსი. აი ამ ნაყოფს ჩვენი მუშაობისას ჩვენ ვდღესასწაულობთ დღეს. მოგილოცავთ ამ დღესასწაულს და გისურვებთ არ გადაცდენოდეთ იმ სწორ გზას, რომლითაც დღემდე მივდიოდით. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიას, გაუმარჯოს მუშათა კლასს. კვლავ ტაში და ვაშას ძახილი.

შემდეგ დამფუძნებელი კრების სახელით ლაპარაკობს ალ. ლომთათიძე, რომლის გამოსვლასაც მიტინგი ძლიერი ტაშით შეხვდა. ის ასე იწყებს: დიდი დღე არის დღეს. ბევრი გამარჯვების მონაწილე იყო საქართველოს დემოკრატია მუშათა კლასის მეთაურობით, მაგრამ დღევანდელი დღესასწაული ეს უკანასკნელი გამარჯვება გვირგვინია ყველა წინა გამარჯვებისა. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი დემოკრატია გაამართლებს იმ იმედებს, რომელსაც მასზე ამყარებს საერთაშორისო დემოკრატია (ტაში), შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ ამ რამდენიმე კვირის შემდეგ დამფუძნებელი კრება დაასრულებს კონსტიტუციის განხილვას და ჩვენი სახელმწიფო დაიწყებს ნამდვილი უფლებრივი გზით სიარულს და განვითარებას. (კვლავ ტაში).

შემდეგ ლაპარაკობს ვ. ჯუღელი, რომელსაც ტაშით ხვდება მიტინგი. ის სხვათაშორის აღნიშნავს: „დღეს ჩვენ აქ ვხედავთ ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლებს, მე მგონია არსად, არც ერთ სხვა სახელმწიფოში თქვენ ვერ ნახავთ ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელს". შემდეგ ის ამბობს: მემარჯვენე გაზეთები სწერენ, რომ იურიდიულად ცნობის შემდეგ მაინც უნდა მიატოვოს საქართველომ რევოლიუციონური გზით სიარული, მაგრამ მე მგონია, რომ, ჩვენ, პირიქით, ამის შემდეგ უფრო მტკიცედ, უფრო შეურყევლად ვივლით რევოლიუციონური გზით. ჯუღელის ეს სიტყვები დაფარა ზღვა ხალხის ერთსულოვანმა და ძლიერმა ტაშმა. მე,—ამბობს ორატორი,—გუშინ ჩამოვედი ფრონტიდან და უნდა გაცნობოთ, რომ არასოდეს ჩვენი ფრონტი არ ყოფილა ისე მტკიცე, ისე მთლიანი, როგორც არის ახლა (ტაში, იმის „გაუმარჯოს ფრონტს" და სხვა). ორატორი ასე ათავებს სიტყვას: „თუ საჭიროებამ მოითხოვა, მე დარწმუნებული ვარ, ფრონტი და მასთან ერთად მთელი ჩვენი ხალხი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს [illegible] და-მოუკიდებლობის დასაცავად, გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას, გაუმარჯოს სოციალიზმს (ტაში).

შემდეგ ილაპარაკეს ლ. შენგელაიამ სოც.-რევოლ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, ი. მაჭავარიანმა და გვარდიელმა მაისურაძემ. დასასრულ ს.-დემოკ. პარტიის სახელით ილაპარაკა რ. არსენიძემ, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: „მაქვს ბედნიერება მოგილოცოთ დიდებული გამარჯვება საქართველოს დემოკრატიის, სოც.-დემოკრატიული პარტიის სახელით, (გაუმარჯოს სოც. დემ. პარტიას იგრიალა ხალხმა) სოც. დემოკრატიული პარტია აცხადებს, რომ ის მთელ თავის ძალღონეს, ენერგიას მოანდომებს საქართველოს გაფურჩქვნას, მისი სოციალისტურ თაიგულათ გადაქცევას. და იმ ბავშვებს, რომლებმაც აქ თქვენს წინ გაიარეს ჩვენ გადავაბარებთ საქართველოს უკვე სოციალისტურ ბაღათ გადაქცეულს, ორატორის ეს სიტყვები დაფარა ზღვა ხალხის ძლიერმა ტაშმა და „გაუმარჯოს სოც.-დემ. პარტიას" ძახილმა.

მეორე ადგილას იქვე გაიმართა აგრეთვე დიდი მიტინგი, რომელსაც თავმჯდომარეობდა ალ. ფ. ხელაძე, ის ულოცავს მიტინგს დღესასწაულს. ილაპარაკეს ლ. კუპრაშვილმა და ი. ირემაშვილმა. შემდეგ ლაპარაკობს ნ. რამიშვილი რომლის გამოსვლას ტაშით შეხვდნენ ის აღნიშნავს საქართველოს დემოკრატიის სწორს ტაქტიკას და მის გამარჯვებას. არასოდეს, ამბობს ორატორი, ქართველ ხალხს არ მოუწადინებია სადავო საკითხის იარაღით გადაჭრა, ხოლო, როდესაც ეს თავს დაესხმოდნენ მაშინ იღებდა ხმალს და კიდევაც იმარჯვებდა. ის იმედს გამოსთქვამს, რომ საქართველოს დემოკრატია არ გადაუხვევს სწორ გზას, რომლითაც ის მიდიოდა რამდენიმე წლის განმავლობაში დასასრულ ორატორი მოუწოდებს მიტინგს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფრონტზე მყოფთ გვარდიელთა და ჯარისკაცებს, რომელნიც თავიანთი სისხლით იცავენ ჩვენს დამოუკიდებლობას, ის მოუწოდებს ყველას დაეხმარონ მათ ოჯახებს. (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ ლაპარაკობს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე, რომლის გამოსვლას ცხარე ტაშით შეხვდა მიტინგი. ის სხვათაშორის ამბობს „ქართველმა ერმა თვით იცნო თავისი თავი ორი წლის წინათ და ეს ვერ წაშალა ვერავითარმა ძალამ. 27 იანვრიდან საქართველო უფრო ძლიერია, ვინემ დღემდე იყო, ილაპარაკა აგრეთვე [illegible] გ. ჯუღელმაც რომლის გამოსვლას ტაშით ხვდებიან. ორივე მრავალრიცხოვანი მიტინგი, თავმოყრილი საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობის სადღესასწაულოთ, მიესალმება დამფუძნებელ კრებას და მის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობას და ულოცავს მათ ბრწყინვალე გამარჯვებას.

მიტინგი აღიარებს, რომ ეს გამარჯვება მიეწერება საქართველოს დემოკრატიის თვითმოქმედებას და იმ ჭეშმარიტ დემოკრატიულ და სოციალისტურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებს საქართველოს მშრომელი ხალხი და მისი ხელმძღვანელი წრეები.

მიტინგი მხურვალე სალამს უძღვნის საზღვრებზე მდგომ ჯარსა და გვარდიას, რომელნიც იცავენ რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, და საჯაროთ აცხადებს, რომ ამიერიდან დემოკრატია გააორკეცებს თავდაცვის უნარს და არ დაიშურებს არავითარ მსხვერპლს უცხოელთ თავდასხმელთა მოსაგერიებლათ და თავისუფლების გასამტკიცებლათ.

საღამოს ქალაქის სხვადასხვა ადგილი და დაწესებულებანი გაჩირაღდნებული იყო. თეატრებში და მუშათა კლუბებში გაიმართა საზეიმო საღამოები. წარმოთქმულ იქნა სიტყვები.

ქალაქის თვითმართველობის აივანზე გამართული იყო ეკრანი. დაღამებიდანვე აუარებელი ხალხი მოგროვდა. თავისუფლების მოედანი გაიჭედა. 8 საათიდან დაიწყო სურათების ჩვენება: გვარდიის დღე, დამფუძნებელი კრების გახსნა, ბათომში ჩვენი ჯარის შესვლა და სხ. დაბოლოს აჩვენეს 6 თებერვლის დღესასწაული, რამაც ხალხში საერთო აღფრთოვანება გამოიწვია. ბევრს უკვირდა—როგორ მოასწრეს 4 საათზე დასრულებული დღესასწაულის ასე საჩქაროდ ლენტზე გადაღებაო.

პარტიული დისციპლინა

ხაშური. (დეპეშა) ხაშურის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრთა საზოგადო კრებამ, რიცხვით 155 (ოთხმა თავი შეიკავა), რომელზედაც დაესწრო ამხანაგი ისიდორე რამიშვილი და გორის სამაზრო კომიტეტის წევრები, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: არასოდეს მუშათა კლასისათვის მისი პოლიტიკური პარტიის მთლიანობა არ ყოფილა ისე საჭირო, როგორც ეხლა. პოლიტიკურ პარტიის მთლიანობის დარღვევას რა შედეგები მოჰყვა მუშათა კლასისთვის ევროპაში,—ეს თვალწინ გვიდგას ჩვენი საქართველოს სოციალ დემოკრატიის დამსახურება პროლეტარიატის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ უმძიმეს პირობებში დაიცვა მან თავისი მთლიანობა, რითაც შესაძლო გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა და მასში იმ დემოკრატიულ პრინციპების განმტკიცება, რომელიც საუკეთესო ჩარჩოა იმ გზისათვის, რომელსაც სოციალიზმისაკენ მივყავართ. საქართველოს პროლეტარიატი ვერ გაჰყვება ვერც ერთს ჯგუფს და პირს, რაგინდ კეთილი სურვილებით იყვნენ ისინი გაჟღენთილნი, რომელი ჯგუფიც ან პირი დაარღვევს ჩვენი პარტიის ფუძეს—დისციპლინას, მისი მოქმედების მთლიანობას. გაზეთ „სხივის" და მისი სულის ჩამდგმელების გაჩენის დღიდან ჩვენს პარტიას თავს წამოადგა საშიშროება მისი პოლიტიკური სიძლიერის დასუსტებისა და სწორედ ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად მოწვეულ პარტიული კონფერენციის მიერ გამომუშავებულ რეზოლიუციებს და აგრეთვე თვით კონფერენციას ხაშურის ორგანიზაცია სთვლის სრულიად კანონიერად და ამ რეზოლიუციების ცხოვრებაში გატარება სავალდებულოა ყველა პარტიის წევრისათვის. რაც შეეხება 31 იანვრის შემდგარ პარტიულ კრებას, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხანაგი მარიამიძე და რომელზედაც მოხსენება გააკეთა ნიკიფორე ამანიშვილმა და რომელზედაც გამომუშავებული რეზოლიუცია ცეკას გადაეცა ხაშურის პარტიული ორგანიზაციის სახელით,—კრება აღიარებს რომ აღნიშნული 31 იანვრის კრება არ იყო წმინდა პარტიული, ვინაიდან იმ კრებას დაესწრო ბევრი არა პარტიული პირები, რომლებიც მოსულიყვნენ ამხანაგ კარლო ჩხეიძის მოსასმენათ. აგრეთვე არის საბუთები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ხმის მიცემაში მიიღო მონაწილეობა ჩვენი პარტიის [illegible] მტრებმაც—სხვა პარტიის [illegible]. ამიტომ 4 თებერვლის წმინდა პარტიული საზოგადო კრება 31 იანვრის კრების რეზოლიუციას, პარტიის სახელით გამოტანილს, სთვლის უკანონოთ და მიუღებლათ. ამასთანავე კრება აღიარებს, რომ ის მუდამ იყო, არის და იქნება ტრადიციის ერთგული დამცველი.

კრების თავმჯდომარე პატარაძე.

— —

ეს დეპეშა ნათლად ამტკიცებს თუ რა საშუალებას მიმართავენ პარტიიდან გარიცხული პირები, გულუბრყვილოთა თვალების ასახვევათ, რომ მათ მოაჩვენონ ვითომ პარტიული საზოგადოებრივი აზრი მათ მხარეზეა, ისინი ისეთი საშუალების წინაშეც კი არ ჩერდებიან, როგორიც არის „ხმის მიცემაში მონაწილეობა ჩვენი პარტიის მთლიანობის მტრებისა". აი რა ზნეობის მატარებ ლი არიან ის პირები, რომლებიც პარ ტიამ თავის წრიდან გარიცხა. ხალხი, რომელიც მტერს იწვევს პარტიის დასანგრევათ, კიდევ ბედავს ლაპ პარტიის სიყვარულზე და მუშათა სის ერთგულებაზე! ალბათ მათ უკვე შეითვისეს ჩვენი პოლიტიკური მტრების შეხედულება ჩვენს მუშათა კლასზე: სულ ერთია, მაინც ვერ მიხვდებიანო. მაგრამ რომ ეს ასე არაა, ეს არა ერთხელ დაამტკიცა ჩვენმა მუშათა კლასმა და ახლაც ერთხელ კიდევ დაუმტკიცებს ის ჩვენს ყოფილ ამხანაგებს. თავის პარტიის ჩაწიხვლას, მისი საუკეთესო ტრადიციების გათელვას ის არავის აპატიებს. ეს კარგათ უნდა დაიმახსოვროს ბ ნ „[illegible]-ცხალაიშვილის პარტიამ".

რ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

თებერვლის 7.

ფრანგული ცნობები

კამათი მთავრობის პოლიტიკის შესახებ.

ლიონი, 5 თებერ. კამათი იმ შეკითხვის გამო, რომელიც საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას შეეხებოდა, არც პარასკევს დასრულებულა. კამათი 4 საათზე მეტი გაგრძელდა. ბრიანმა უპასუხა ტარდიეს, რომელმაც, როგორც კლემანსოს თანამშრომელმა, ბევრი შრომა გასწია ვერსალის ხელშეკრულების დადების დროს. ბრიანმა დაუმტკიცა პალატას, რომ ისეთ სრულ ხელშეკრულებიდან, როგორიც არის ვერსალის ხელშეკრულება, მან შესძლო ისეთი მუხლების განხორციელება, რომლებიც იცავენ საფრანგეთის ინტერესებს და ამავე დროს ინახავენ საფრანგეთის თანხმობას მოკავშირეებთან. სოციალისტ ორიოლას მოხსენების შემდეგ, რომელიც მოითხოვდა დამარცხებულთა და გამარჯვებულთა შორის სრულ ფინანსიურ და ეკონომიურ სოლიდარობას, კამათი საშაბათოთვის გადაიდო.

საფრანგეთი და პოლონეთი.

ლიონი 7 თებ. მარშალ პილსუდსკის პარიზში ჩასვლის გამო საფრანგეთისა და პოლონეთის მთავრობებმა გამოაქვეყნეს განცხადებანი, რომლებიც ადასტურებს ამ ორი ქვეყნის ინტერესთა ერთგვაროვნობას და აღნიშნავს ფრანგებისა და პოლონელების გაერთიანებულ და შეთანხმებულ მუშაობის საჭიროებას.

გერმანული ცნობები

რუსეთი და სპარსეთი.

ნაუენი. 7 იანვ. „დოიჩე ცაიტუნგი" ბეჭდავს მოსკოვიდან მოსულ ცნობას სპარსეთთან დადებულ ხელშეკრულების შესახებ. ხელშეკრულების შინაარსი შემდეგია: 1) სპარსეთთან დადებული ყველა ხელშეკრულება და მათ შორის 1907 წლის ხელშეკრულება გაუქმებულად ცხადდება; 2) სპარსეთს უბრუნდება რუსეთის მიერ დაკავებული ტერიტორია; 3) სპარსეთს ეძლევა უფლება კასპიის ზღვაში თავისუფალ ნაოსნობისა; 4) რუსეთი აუქმებს სპარსეთის ვალებს. სპარსეთი იღებს სპარსეთში არსებულ რუსეთის ბანკებსა და რკინის გზებს; 5) იმ შემთხვევაში, თუ მეორე სახელმწიფო ისარგებლებს სპარსეთით, როგორც სამხედრო ოპერაციების ბაზათ, რუსეთს ეძლევა უფლება დაიკავოს სპარსეთის ტერიტორია იმდენათ, რამდენათაც ამას აუცილებლობა მოითხოვს.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური).

რკინის გზებზე.

მოსკოვი. 6 თებ. იმ არევ-დარევას, რომელიც რკინის გზებზე იყო გამეფებული, ჩვენ საერთო ძალით და მუშათა ენერგიულ თვით მოქმედების საშუალებით დავძლიეთ. ამ ჟამად ჩვენ ტრანსპორტს კვლავ საშიშროება მოელის ნამქერების და სათბობ მასალის ნაკლულოვანების გამო.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

7 თებერვალი.

პანისლამისტთა კონფერენცია.

სივასში (მცირე აზიაში) შედგა პანისლამისტური ხასიათის კონფერენცია. ამ კონფერენციაში მონაწილეობენ ოსმალეთის ყველა პროვინციის წარმომადგენლები.

თავდასხმა ლენინზე.

პარიზი. „ტანი" იუწყება: მოსკოვში არსებული საბჭოთა მთავრობის ოფ ციალური ორგანო „იზვესტია" ად ტურებს ხმებს ლენინზე თავდასხ შესახებ: იმ დროს, როდესაც ლენი მიდიოდა იმ შენობასთან, სადაც საბჭოთა წარმომადგენლების მე-8 ყრილობა იყო, ლენინის ავტომობილს ყუმბარა ესროლეს. დაიჭირა 8 კაცი. ლენინი გადარჩა.

აჯანყება უკრაინაში.

„ტანის" თანახმად „იზვესტიაში" დაბეჭდილ ცნობებისა მოჰყავს ფაქტების მთელი რიგი, რომლებიც ამტკიცებს სამხრეთ უკრაინაში [illegible] დიდ აჯანყებას. „ტანი" სწერს: ეს აჯანყება დიდ საფრთხეს წარმოადგენს კომუნისტური მთავრობისთვის. ამ მთავრობის ჩარევა რთულდება იმ გარემოებით, რომ კიევის რაიონში მყ წითელ ჯარ[illegible] ები აჯანყებიან.

აჯანყება გავრცელდა კიევს, ჩერ ნიგოვის, პოლტავისა და ხერს ნის გუბერნიებში, აჯანყებულნი სპ ტელეგრაფს [illegible], ანადგ რებენ ბოლშევიკების მცირე რ ზმებს. სწვავენ სამხედრო და სხ. სა ყობებს, ხვრეტენ კომუნისტებს და აჯანყებულთ უერთდებიან წითელი რის ნაწილებიც, რაც უფრო აუარეს უკრაინაში მყოფ საბჭოთა მთავრო წარმომადგენელთა მდგომარეობას.

პეტროგრადში.

„დეილი ქრონიკლი" იუწყება: თა ხმად პეტროგრადიდან მოსულ ცნო სა საზამთრო სასახლის ადმინისტ ციას მიუღია ბრძანება, რომ სასწრაფ მოამზადონ ოთახები. რადგანაც სახა ხო კომისართა საბჭოს წევრები პე როგრადში გადასვლას აპირებენო.

იტალიის ხელისუფ რადიო ცნობებ

ჟენევა 7 თებ. ერთა ლიგის საბჭ ჟენევაში 21 თებერვალს შეიკრიბება. სხდომაზე იქნებიან: წარმომადგენლ იტალია, საფრანგეთი, ინგლისი და ი პონია, ბელგია, ბრაზილია ჩინეთი ესპანეთი. საბჭოს სესია გაგრძელდე რამოდენიმე დღე. დღიურ წესრიგში საკითხია.

კონსტანტინოპოლი. მინისტრთა ბჭომ მოიწვია განსაკუთრებული სხ მა ლონდონის კონფერენციაზე წ სადგენ მანდატების შესამოწმებლა

რომი. 3 თებ. დეპუტატთა პ ში მთავრობამ ნდობის საკით მოაყენა. კენჭის ყრა მთავრობ მარჯვებით დამთავრდა. მთავ ილო 350 ხმა, წ ნააღმდეგ 98.

კონსტანტინოპოლი. ოსმ სის ცნობით პირობები, რომ ბრწყინვალე პორტა ლონდონის ფერენციაზე წარადგენს, შემდეგი უპირატესობის უფლებათა გადასინ რომლებიც სევრის ხელშეკრ საბერძნეთს მიანიჭა სმირნ ხელშეკრულობის ეკონომიური და ხედრო პირობების შესწორება იმ ნით, რომ ოსმალეთმა იყოლიოს საკ რი თავის დასაცავად.

ლონდონი. „რეიტერი იუწყება: ტაფა ქემალმა გაგზავნა შიკრიკი პოლში მოკავშირე სახელმწიფოთა წა მომადგენლობასთან. შიკრ კი მოკავშ თა წარმომადგენლებს განუცხადებს, ოსმალეთის ხალხის ერთად ერთი მომადგენელი არის ანგორის ეროვნული კრება და რომ შეუძლია გაგზავნოს ლონდონის

ფერენციაზე თავის წარმომადგენლები. ოსმალეთის მისიის თავმჯდომარეთ ლონდონის კონფერენციაზე დანიშნულია იზეთ ფაშა.

ცხოეთის პრესა საქართველოს შესახებ

არგენტინა, რომელმაც დასავლეთის ვეყნებს შორის პირველმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა (de iure), ენ ქვეყნის მიმართ დიდ ინტერესს ჩენს. არგენტინის პრესამ გადაბეჭდა ს განცხადებანი, რომელიც გაუკეთა ქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა საფრანგეთის ესას და აგრეთვე საქართველოს ფინანსთა მინისტრი კ. პ. კანდელაკთან კეთებული ინტერვიუ. არგენტინის ზეთები საქართველოს ეკონომიურ გომარეობის შესახებ ცნობებს რეგულარულად ათავსებენ.

—

შვეიცარიის პრესა შვეიცარიასა და იერ-კავკასიის და კერძოთ შვეიცარიასა და საქართველოს შორის შესაძლებელ ეკონომიურ დამოკიდებულების მიმართ დიდ ინტერესს იჩენს (Mercur Suisse) ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ყოფილ მოსკოვის პროფესორის ველტერის დასაბუთებული წერილი „ეკონომიური კავკასიის" სათაურით. წერილს თან დართული აქვს დიაგრამები და ილიუსტრაციები. ამ წერილის დასკვნა: ყველა იმ ქვეყნებს შორის, რომელიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდენ, კავკასიას უბრწყინვალესი მომავალი მოელის. ეს მხარე იზიდავს უცხოელებს როგორც თავისი სიმდიდრით, აგრეთვე თავისი ბუნების სილამაზით. კავკასიის ხალხთა შორის ქართველმა ხალხმა რუსეთის რევოლიუციის შემდეგ ყველაზე მეტი პოლიტიკური სიბრძნე გამოიჩინა. ამ ხალხის მეთაური არის შვეიცარიის მეგობარი ნ. ჟორდანია, ჟენევის უნივერსიტეტის ყოფილი მსმენელი. კავკასიაში მცხოვრებ ერებს აქვთ რაღაც საერთო შვეიცარიის ხალხთან: მათ შვეიცარიასთან აახლოვებს თავისუფლებისადმი სიყვარული, ვაჟკაცობა და სიმტკიცე იმ ბრძოლაში, რომელსაც ისინი დამპყრობელთა წინააღმდეგ აწარმოებენ. ეს ერები სიხარულით მიეგებებიან ევროპის ერთ ერთ უძველეს შვეიცარიის დემოკრატიის მხრით აღმოჩენილ დახმარებას, რომელიც მიმართული იქნება ამ მხარის ბუნებრივ სიმდიდრის დამუშავების განვითარების სასარგებლოთ. (სდს)

ახალი ამბები

◆ დღეს, სიღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **ხაზინდრო მინისტრის განკარგულებით** დაპატიმრებული არიან პოლკოვნიკი ჟურული, ექიმი ლომინაძე და სანიტარი ლორთქიფანიძე საფრანგეთის მისიის წევრების შეურაცყოფისათვის. სწარმოებს სასტიკი გამოძიება დამნაშავეთა პასუხის გებაში მისაცემად. (სდს).

◆ **ნავთის წარმოება საქართველოში.** საქართველოს რკინის გზელთა საბჭოს სხდომის დარბაზში გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორის ინჟ. პეპინაძის თავმჯდომარეობით სათბობ მასალის განმწესრიგებელ ბიუროს პლენუმის სასწრაფო სხდომა შესდგა, თათბირმა შემდეგი დებულებანი მიიღო: 1) ნავთის თავისუფალი გაყიდვა რესპუბლიკაში ჯერჯეროობით დაუშვებელია, მთელი ამოღებული ნავთი უნდა გადაეცეს სათბობ მასალის განმწესრიგებელ ბიუროს, 2) რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამოღებული ნავთი უნდა შეძენილ იქნეს, მიუხედავათ იმისა, შემოვა თუ არა გარედან ნავთი, 3) ამოღებულ ნავთის ფასი უნდა განსაზღვროს პარიტეტულმა კომისიამ, 4) მომხმარებლებზე გასაყიდ ნავთის ფასი უნდა დააწესოს სათბობ მასალის გამწესრიგებელმა ბიურომ და სხვა.

◆ **პოეტ ს. აბაშელის ავათმყოფობა.** ერთი თვე სრულდება ს. აბაშელი ავათ არის ფილტვების სისუსტით. ის წევს ნ. ჩხიკვაძის სახლში დასთან. ნივთიერად კრიტიკულ მდგომარეობაშია. აუცილებელია მისი რომელიმე სანატორიუმში წაყვანა, სანამ გვიან არ არის. საჭიროა ყურადღების მიქცევა.

◆ **მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ.** როგორც გადმოგვცეს მთავრობამ დაადგინა აკრძალული იქნეს თუთის ([illegible]) ხეების უცხოეთში გატანა და საზოგადოთ ხეების სოფლად მოჭრა-გაჩეხვა, რაც ეცნობა სასწრაფოდ რესპუბლიკის ყველა ერობებს.

◆ **საარჩევნო ფონდი.** ამხ. მიშა ელიაშვილისაგან ცენტ. კ—მა მიიღო საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ 1000 მანეთი.

◆ **ქ. თფილისის მილიციის პროფ. კავშირის გამგეობამ** სამშაბათს 8 თებერვალს დილის 10 ს. „კრისტენსის" ცირკის შენობაში (ვერის დაღმართზე) იწვევს კავშირის წევრთა წლიურ კრებას.

◆ **თავისუფლების ძეგლი.** საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის გამგეობამ 4 თებერვალს სხდომაზე საქართველოს იურიდიულათ ცნობის აღსანიშნავად სასურველად სცნო აგებულ იქნას თავისუფლების ძეგლი, რისთვისაც შექნას სათანადო ფონდი. ამ ფონდში მან გადარიცხა ერთი მილიონი მანეთი და დაადგინა მოუწოდოს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს და კოოპერატორებს გაიღონ თავიანთი წვლილი.

◆ **ბორჯომის სახელმწიფო მამულის წისქვილი** ღებულობს დაკვეთას ხორბლეულობის დასაფქვავად. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ამ მისამართით: სადგური სუმბათოვი, ბორჯომის სახ. მამულის წისქვილი.

◆ **აგრარული რეფორმა.** ცხოვრებაში აგრარულ რეფორმის გატარების დაჩქარების მიზნით თფილისში არსდება სამოქალაქო მიწის მზომელთა ინსტიტუტი, რომელშიაც შეუძლია შესვლა ყველას, ვისაც კი საშუალო განათლება ექნება მიღებული. სამოქალაქო მიწის მზომლებმა რესპუბლიკის მიწის მზომელთა პროფ. კავშირთან საგანგებო სექცია უნდა დაარსონ.

◆ **სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს** და აგრეთვე თანამდებობის პირთ, რომლებიც სარგებლობენ თფილისის ტელეფონის ქსელით, სთხოვენ დააჩქარონ სააბონემენტო გადასახადის შემოტანა ამავე ქსელის სალაროში არა უგვიანეს 15 თებერვლისა.

პარტიული კრებები

ქალთა ორგანიზაციის მეოთხე რაიონული კოლექტივის სასწრაფო სხდომა დანიშნულია დღეს, დღის 4 საათზე. სასწრაფო კითხვების გამო ყველა წევრთა დასწრება აუცილებელია.

— მეოთხე რაიონული კოლექტივი თავის წევრთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ რაიონული კოლექტივის ბიურო ღიაა ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილით: 12—2 საათამდე და საღ. 5—7 საათამდე. (5—1)

ბრძანება ფინანსთა მინისტრისა

შემოსავლის კვალობაზე გადასახადის საუბნო საკრებულოში ცნობების წარსადგენათ მიმდინარე 1921 წლისთვის ვადები შეიცვალოს ასე;

1) 1-ლ მარტამდე ბინის დამქირავებლებმა უნდა წარუდგინონ სახლის პატრონებს, თანახმად შემოსავლის კვალობაზედ გადასახადების დებულების 77 მუხლ. ცნობები მეჩვიდმეტე ფორმით (ფ. № 17) იმ პირთა შესახებ, რომლებიც 1920 წლის 15 დეკემბერს ცხოვრობდენ მათ ბინებზე და ქონდათ დამოუკიდებელი შემოსავალი.

2) 15 მარტამდე—სახლის პატრონებმა და მოიჯარადრეებმა უნდა წარმოუდგინონ, თანახმად შემოსავლის კვალობაზედ გადასახადის დებულების 77 მუხლ., წინა მუხლში აღნიშნული ცნობები იმავე ჩვიდმეტი ფორმით და აგრეთვე ცხრამეტი ფორმით (ფ. № 19 ცნობები იმ პირთა შესახებ, რომლებსაც 1920 წლის 15 დეკემბერს ეჭირად მათ სახლებში ბინები და სავაჭრო-სამრეწველო სადგომები.

3) 15 მარტამდე—თანახმად შემოსავლის კვალობაზედ გადასახადის დებულების 79 მუხლ., სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებმა კერძო საზოგადოებებმა სავაჭრო-სამრეწველო და სხვაგვარ საწარმოოს პატრონებმა და მოიჯარადრეებმა უნდა წარუდგინონ საუბნო-საკრებულოს ცნობები ოცდა ერთი ფორმით (ფ № 21) იმ პირთა შესახებ, რომლებმაც მიიღეს 1920 წელში მათგან რაიმე სასყიდელი.

4) 1-ლ მაისამდე,—თანახმად შემოსავლის კვალობაზედ გადასახადის დებულების 82 მუხლ., უნდა წარუდგინოს საუბნო საკრებულოს ხსენებული გადასახადის გადამხდელთაგან ცნობები მერვე ფორმით (ფ. № 8) მათი 1920 წელში შემოსავლის შესახებ ყოველგვარ წყაროებიდან.

ფინანსთა მინისტრი **კ. კანდელაკი.**

თფილისის ქალაქის ამომრჩეველთა საყურადღებოთ

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ძირითად საარჩევნო სიების საყოველთაოდ განსახილველად გამოფენა და ყოველგვარი საჩივრების მიღება ამომრჩეველთაგან ან იმ მოქალაქეთაგან, რომლებიც გამორჩნენ საარჩევნო სიებიდან დამთავრდა 7 თებერვალს, საღამოს 9 საათზე. 8—9 თებერვალს შეუძლია ყველა მომჩივანს მიიღოს გამგეობისაგან პასუხი თავის საჩივარზე.

იმ პირთ, რომლებიც არ დარჩებიან კმაყოფილნი ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილებით, კანონის ძალით უფლება აქვთ განასაჩივრონ ეს სასამართლოში 10 და 11 თებერვალს.

თფილისის ქალაქის გამგეობა.

დავით ხელთუფლიშვილი

იშვიათი ადამიანი იყო. ყოველ მის მოქმედებაში შინ და გარეთ თქვენ გრძნობდით უმაღლეს პატიოსნებას. ყოველ საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობას იღებდა, ცხოვრების ყოველი მოვლენა, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი, სასიხარულო თუ უსიამოვნო, მწვავედ ხვდებოდა მის ნერვებს, მაგრამ იმდენათ რკინის ხასიათი ჰქონდა, რომ თავისი გრძნობა აროდის გამოუხატავს აჩქარებული, შეუფერებელი სახით. ბევრს არ უყვარდა სიმართლისათვის, მაგრამ ყველა, მტერიც კი, ღრმა პატივისცემას გრძნობდა მისდამი. ყოველ მის საქციელში უაღრესი კეთილშობილება ჩქეფდა. მის საზოგადოებაში თითქოს სულიერად მაღლდებოდით, ზნეობრივი სიფაქიზით იმსჭვალებოდით...

უნივერსიტეტის გათავების შემდეგ ვექილობა დაიწყო. მაშინ ეს ერთადერთი ასპარეზი იყო, სადაც ადამიანის მოღვაწეობას რამოდენიმედ საზოგადოებრივი ხასიათი ჰქონდა.

საერთოდ იშვიათად გამოდიოდა სასამართლოში, მაგრამ, როცა გამოდიოდა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ის საქმე, რომელსაც ის იცავდა, სამართლიანიც იყო და კანონიერიც. ამიტომაც უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა სასამართლოში,

როცა ჩვენმა ნორჩმა რესპუბლიკამ უზენაესი სასამართლოს დაწესებულება—სენატი—შექმნა, ყველა პარტიებმა, მოულაპარაკებლათ, ის დაასახელეს თავმჯდომარედ. ყველამ იცოდა, რომ სწორედ ის იქნებოდა უმაღლესი სამართლის და სიმართლის გამომხატველი დარაჯი. დიდხანს არ სთანხმდებოდა განსვენებული. ზოგიერთს ეგონა, იმიტომ, რომ პატარა ჯამაგირით ვერ იცხოვრებსო. მაგრამ ნამდვილად კი იმას სხვა რამ აშინებდა—სენატის პირადი შემადგენლობა აინტერესებდა... ერთხელ, როცა დაბეჯითებით ვთხოვდი ეკისრა თავმჯდომარეობა, თავისი შიში ამ კითხვით გამოხატა: სხვა კანდიდატები ვინ გყავთო. და როცა ეს გამოირკვა, ისიც დასთანხმდა.

და ჩვენ ვიცით, თუ რა მიუწდომელ სიმაღლეზეა ჩვენი სენატი. ვერც ერთ კულტურულ ქვეყნის, უმაღლეს სასამართლოს ნაქებ ინგლისისაც კი, ჩვენი სენატი არ ჩამოუვარდება. მხოლოდ მომავლის მეშინია...

განსვენებულმა სინდისიერად შეასრულა თავისი წმინდა მოვალეობა, მიუხედავათ იმისი, რომ გაჭირვებულად ცხოვრობდა, სციოდა ავათმყოფს...

ს. ჯაფარიძე.

38

მელანია დეკ. ნიკოლოზ ნათაძე.

მძიმე ავათმყოფობის შემდეგ თფილისში 4 თებერვალს გარდაიცვალა მოხუცი მწერალი-ბელეტრისტი მელანია—დეკანოზი ნიკოლოზ ნათიძე.

მელანია რეალისტი მწერალი იყო და აგვიწერდა სოფლის ცხოვრებას, ჭირ-ვარამს, გლეხის უმწეო და უსინათლო ყოფას.

მის საუკეთესო მოთხრობა „ბნელო"-ში ჩვენ ვხედავთ ნათლად ძველ სოფელს, სადაც ბატონობს თავადიშვილი და სოფლის მოხელეობა—მამასახლისი და სხვები, და სადაც გლეხი დაბეჩავებულია, თითქმის პირუტყვის მდგომარეობაში არის ჩავარდნილი.

მიუხედავათ იმისა, რომ ეს ხანა ჩვენმა ხალხმა უკვე დანვლო და ჩვენმა დემოკრატიამ უმაგალითო ბრძოლით დალეწა ყველა ძველი, ფეოდალური ზღუდეები და სრულიად განთავისუფლდა გლეხი ყოველგვარ ბორკილებისაგან,—ეს ნაწარმოები მაინც ბევრს ეუბნება ჩვენს სულს და გულს. ის რჩება უტყუარ დოკუმენტად, სადაც მოსჩანს ძველი ცხოვრება...

მელანიას არ დაუწერია ბევრი. ცხოვრებასთან ბრძოლა, ლუკმა-პურის ძიება, არ აძლევდა მას შესაძლებლობას გამოეჩინა მთელი თავისი ნიჭი და გადაეშალა საზოგადოებისათვის ჩვენი ცხოვრების შავბნელი კუნჭულები. მხოლოდ დრო-გამოშვებით სწერდა ის და მის მიერ დაწერილ ყოველივე სტრიქონში გამოსჩანს უტყუარი მწერლობითი ინდივიდუალობა, სერიოზული მოპყრობა საქმისადმი და უნარი მისი დამუშავებისა, რაც აგრე რიგათ ახასიათებს ჩვენს წარსულ მწერლობას.

დ.

— —

უკვე შესდგა თფილისში არსებულ საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან დამკრძალავი კომიტეტი.

განსვენებულის სურვილის თანახმად კუბო გვირგვინით და ყვავილებით არ შეიმკობა. ნაცვლად ამისა შედგენილი იქნება განსვენებულის სახელობის ფონდი, რისთვისაც უკვე დაიწყო შემოწირულების მიღება დამკრძალავ კომიტეტში განსვენებულის ბინაზე (იზმაილოვის ქ. № 11) და გაგრძელდება დღეს, 8 თებერვალს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე. გამოსვენება ბინიდან სიონის ტაძარში დანიშნულია 8 თებერვალს საღამოს 5 საათზე. წირვა და ანდერძი ამავე ტაძარში ოთხშაბათს, თებერვლის 9 ს დილის 10 საათზე. წირვისა და პანაშვიდის შემდეგ ცხედარს გაასვენებენ თფილისის სადგურზე, კახეთის რკინის გზისა, ს. მელაანში წასასვენებლათ.

დამფუძნებელი კრება

28 იანვრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **კ. ჩხეიძე.**

გ. რცხილაძე. კითხულობს ტექსტს ტყვარჩელის კონცესიის ხელშეკრულებისას, რომელიც დადებულია იტალიის ეკონომიურ წრეებთან. წაკითხულ იქნა, როგორც ქართულად, ისევე დედანიც—ფრანგული ტექსტი.

ტექსტის კითხვა ორ საათ ნახევარზე მეტი გრძელდება. წაკითხვის შემდეგ, რაკი ხელშეკრულება ან მთლათ უნდა იქმნეს მიღებული და ან მთლათვე უარყოფილი,—თავმჯდომარე აღარ უყრის კენჭს მის ცალცალკე მუხლებს, არამედ—კენჭს უყრის ხელშეკრულებას მთლათ. ხელშეკრულება მიღებულ იქმნა დამფუძნებელ კრების მიერ, წინააღმდეგ სოციალისტ რევოლიუციონერებისა და სოც. ფედერალისტების ხმებისა. ამის შემდეგ სხდომა გადადის კონსტიტუციის მე 3 ე თავის განხილვაზე.

25 იანვრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **კ. ჩხეიძე.**

განსახილველია დეკრეტი სახაზინო და კახეთის რკინის გზებზე ტარიფის გადიდებისა.

გზათა კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს **გ. გაგლოევი**, რომელიც აღნიშნავს, რომ რკინის გზას ძლიერ დიდი დეფიციტი აქვს. ამის წინააღმდეგ ზომების გამოსამუშავებლად მოწვეული იქნა თათბირი სხვადასხვა საზოგადოებრივ და ეკონომიურ ორგანიზაციებისა, რომელმაც დაადგინა, რომ დეფიციტის შესამცირებლად საჭიროა რკინის გზაზე სამგზავრო და ბარგის გადასატან ტარიფების გადიდება. ეს ტარიფები ეხლა ძალიან ცოტაა, თითქმის არაფერს არ წარმოადგენენ იმ ხარჯთან, რომელსაც ეწევა რკინის გზა. ამიტომაც საჭიროა ამ ტარიფის გადიდება; საგზაო კომისიამ განიხილა რა ეს საკითხი, დაეთანხმა თათბირის დასკვნებს და ადგენს დამფუძნებელ კრების წინაშე ამ დეკრეტს, რომლის ძალითაც სამგზავრო ტარიფი. მე 3 კლასისათვის—სამჯერ, მეორისათვის 6 1/2 ჯერ, ხოლო პირველი კლასისთვის—10 ჯერ დიდდება. ხოლო გადასაზიდ ტვირთის ტარიფი კი გადიდდეს 10 ჯერ იგი სთხოვს დამფუძნებელ კრებას მიიღოს ეს დეკრეტი.

საბიუჯეტო საფინანსო კომისიის სა-

ლორის მიდამოებში

III

როდესაც ბუნება ქართველობას გვა-ნდა—ყოველივე უნარი და ნიჭი თავს დაგვაბერტყა, მხოლოდ ეროვნული თავმოყვარეობა, საკუთარი თავისა და ვინაობის ყადრი დაიწნა და მარტო ერთი პეშვი და გაიმეტა.

სხვანაირად ვერა ვხსნი ჩვენს დამოკიდებულებას იმ კითხვებთან, რომელიც საქართველოს უმანდელ საზღვრების აღდგენას შეეხება.

ყველაფერში მამაცნი ვართ, ყველგან არეული ვხვდებით მტერს თუ მოყვასს—ამ კითხვაში კი კრძალულებას ჩენთ...

სხვა ერთაგან ჩვენს გაუტანლობას ინც გულის ხმაში ჩავეძდეთ... ვინ იქნება არა ცდილობდეს ჩვენი საზღვრების და ეროვნულ საგანძურის მითვისებას... ჩვენი დაუძინებელი მტრები მესხეთისა და ჯავახეთის ქართველ მუსულმანებს „თათრებს" უწოდებენ. ასევე „სომხებად" ჰპათლავენ ქართველ გრიგორიანებს, რომელთა უმრავლესობას არაფერი აქვს საერთო სომხობასთან: არც ენა, არც სისხლი, არც სული და არც ხასიათი... სამართლიანობა და ჭეშმარიტება სულ იმისს სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ გრიგორიანები პირწმინდა ქართველები არიან—სომხის ტერტერები კი მათს გვარებს „იანცებით" ბოლოვებენ და მით საბუთს აძლევენ ამხის დაშნაკელებს თუნდა ჩვენი დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან გამოაცხადონ, რომ სომხობა საქართველოში ნახევარ მილიონს უდრისო...

დახეთქება და მტვერის აყენება სწორეთ ამასა ჰქვიან..

ახია ჩვენზე...

აიუნში არ ვიჩნევთ ასე აშკარად გლეჯს საქართველოს სათუთი ორგანიზმისას და აკი ყვავ-ყორნებივით გვეხვევიან მსუნაგები და გაძიგძვნას გვიპირებენ...

შელოცვილ მგლებივით ყბა შეგვეკრავს და გვეცხვენიან ჟამთა სიავისაგან დაფლეთილ საზღვრების შემოერთებაზე ლაპარაკი...

ემანდ ნაციონალისტობა არავინ შეგვწამოს—ვშიშობთ და რაღა თქმა უნდა, რომ ბევრი ისეთი კუთხე, რომელიც უმალ უნდა შემოგვეერთებინა—რაწამს გაიშალა ჩვენი სახელმწიფოებრიობის დროშა—ჯერაც ისევ სადავოდ გამხდარა...

თითქმის ერთი ციდაა ჩვენი სამშობლო... მისი ერთი საზღვრიდან რომ შურდულით ქვა გავტყორცნოთ—მეორე საზღვარს გასცდება... ასეთი სახელმწიფოს განუკვეთელს ნაწილებზედ არ უნდა იყოს ყოყმანი...

ძველს ისპანიელებს უთქვამთ: „გვიყვარს გამარჯვება შეუძლებლობისაო"...

ჩვენ კი...

არამც თუ შეუძლებლობის არეში არ ვეჭრებით,—შესაძლებელ და ადვილად გასამარჯვებელ ბრძოლის საქმეშიც ვყოყმანობთ...

ბევრ რამეში შეგვეძლო გამარჯვება..

ჩვენი მოვალეობაც ამას მოითხოვდა...

წინაპართა საფლავები... შთამომავლობის აკვანთა კეთილდღეობა — ყველა ბრძოლისკენ მოგვიწოდებდა... ყველა გვავალებდა წვა-დაგვითა და ზუზვით შემოხაზულ კუთხეების ერთხელ და საბოლოოდ შემოერთებას...

მაგრამ...

ისევ ის მორცხვობა იყო მიზეზი, რომელიც გვაყოყმანებდა... ხელს გვღებინებდა იმ საგანძურზე, რომელიც ორივე თვალზე უფრო საფარეზო უნდა ყოფილიყო და სათუთი...

არას ვიტყვი საინგილოზე, ბამბაკზე, ლაზისტანზე... რომელიც ისე ჩვენზე მოწყვეტილი, რომ მგონსის ცხოველ ოცნებასაც გაუჭირდება წარმოიდგინოს იგინი უახლოეს დროში საქართველოს რესპუბლიკის დამამშვენებელ პროვინციებად...

ამ ხელად ვლაპარაკობ მხოლოდ ლორზე, რომელიც ჯერაც ისევ შფოთის ვაშლადაა გადაქცეული ჩვენსა და სომხეთს შორის...

საკვირველი ხალხია დაშნაკელობა...

მათ უცილობელი სამშობლოს დაცვა ვერ შესძლეს... ოსტორიულ მტერს უბრძოლველად ჩააბარეს ყარსი, ალექსანდროპოლი, ამ ბოლო დროს მთელი სომხეთი ფეშქაშად მიართვეს „ამხანაგ ლენინს" და სხვის მიწა წყალზე პრეტენზიებს აცხადებენ...

გვეკრტიმლებიან ლორზე და საკუთარს მამულს კი ამტუტებინებენ მტრის ბრბოებს...

კმარა ლოლიაობა...

აღარ უნდა იყოს ამ საკითხში ორი აზრი..

ლორი ჩვენია და ენა ალვეკრას სასაზე, თუ ოდესმე წინააღმდეგი ვისმეს წამოგვცდეს...

ცეცხლოვან სიტყვებით ამ აზრს გვინერგავს ჩვენი ლაშქარიც...

იგინი ლორის სწვერვალებზე არწივის მედიდურობით წარმომდგარან და აცხადებენ:

დღემდე საქართველო ქარადინა იყო, მტერი ხშირად დანავარდობდა ჩვენს წიაღში...

უნდა მოეღოს ასეთ საშინელებას ბოლო...

მე ხელთ ვიგდე საქართველოს ალაყაფის კარები ლორი და ნუღარასოდეს დაგვეკარგება იგი...

ისმინონ ეს ყველამ...

შეიგნონ, რომ მალე მგლები ცხვრებს გადაქცევიან, ვიდრე ჩვენ დავთმობდეთ ამ კუთხეს...

შავ გულს ჩვენთვის მტრები არ დაიშურებენ, თფილისის დაპყრობაზე ხელს არ აიღებენ, ვიდრე ბუნებრივ ზღუდეებით არ შემოვსალტავთ საქართველოს...

ლორის ზღუდეა გარდ უვალი მთები და იქ უნდა ჩაისვას ჩვენი მიჯნა...

* * *

ლორი, ტაშირი და თრიალეთი ძველად ქვემო ქართლად იწოდებოდნენ... იგი როგორც გეოგრაფიულად, ისე პოლიტიკურად საქართველოს განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა..

ამას ამოწმებს თვით მეშვიდე საუკუნის სომხის გეოგრაფი და სხვადასხვა დროის საბუთები.

საქართველოს ისეთს დაუძლურების დროსაც კი, როცა გადატყდა „ბედი ქართლისა" და ფრთა მოტეხილი მეფე ერეკლე იძულებული გახდა საქართველოს ხომალდი რუსეთისათვის გადაეჯაჭვა—მაშინაც კი გეორგიისკის ხელშეკრულებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებში მოქცეული იყო მთელი ეს ქვემო ქართლი...

* * *

ძველად საქართველოს გაძლიერება—სომხეთის გაღონიერებასაც ჰნიშნავდა... სომხობა ალტაცებით ეგებებოდა დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და სხვა სვე სრულ მეფეთა სამხრეთისაკენ გალაშქრებას...

საქართველოს ლაშქარს არა ერთხელ გადაურჩენია სომხობა მაჰმადიანთაგან ჟლეტას და, ცხადია, მონატრული იქნებოდა საქართველოს გაღონიერებისა და მისს ფართო დროშის ქვეშ თავის შეფარებისა...

მოვლენია დემოკრატიული საქართველოც არა ერთხელ ქომაგად სომხის ხალხს მათი განადგურების ჟამს, მაგრამ ძველი დროიდან მით განირჩევა ჩვენი საუკუნე, რომ სომხის ლევანდელი პოლიტიკოსები აარმებენ ქართველ ხალხის ამაგს სომხისადმი და ცდილობენ მასაც ისე დაეცაროს და დაექსაქსოს გზები, როგორც ეს დაემართა სომხეთს...

მადლი მატლად გადაგვექცაო, რომ იტყვიან, სწორეთ ჩვენ დაგვემართა.

* * *

მიუხედავათ იმისა, რომ ლორს დარაჯათ ედგა მკლავ და გულ მაგარი ხალხი—მტრის განუწყვეტელ თარეშს ვერ გაუძლო და ამოსწყდა კვალ წმინდათ... ყრუ უდაბნოდ გადაიქცა ქვემო ქართლი...

საიდან გაჩნდნენ ის უცხო ტომნი, რომელნიც დღეს მოსახლეობენ ლორტაშირ თრიალეთში?...

გარდა იმ მცირერიცხოვან ბერძნებისა და სომხებისა, რომელნიც ჩაასახლეს ქართველ მეფეებმა—უმეტესობის ჩამოთესვლა მოხდა გარეშე ძალის მეოხებით, რა თქმა უნდა, საქართველოს ინტერესების შესალახავად: და მათი თავდაცვის სიმტკიცის ჩასაფუშავად...

ჯერ ისევ სამი საუკუნის წინეთ შაჰაბაზს აქ თურქები ჩამოუსახლებია, რომ ეს ბუნებრივი ბურჯი სპარსეთის ერთგულებით ყოფილიყო სავსე და მათი შეწევნით ადვილად შემოჭრილიყო საქართველოს მოსაოხრებლად...

უცხო ტომთა გადმოსახლებამ უკვე გარკვეული ანტი ქართველური ხასიათი მიიღო მე-19 საუკუნეში, როდესაც დიდ ძალი სომხობის და რუსობის ტალღები მოღვართქაფდა ბორჩალო-ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში.

ყველა ის ერნი, რომელნიც დღეს გვხვდებიან ბორჩალოს მაზრაში—არიან ახალშენები და არა მკვიდრნი... აი რასა ვკითხულობთ ცნობილს გამოცემაში: Обозрѣніе россійскихъ владѣній за Кавказомъ: ლორის მიდამოებში ძველ- მოსახლეობა

ცვალა ახალ მცხოვრებლებმა... ეს მოხდა რუსების დამკვიდრების შემდგომ საქართველოში... ძნელად იპოვნით სომეხთა შორის მოხუცს, რომელიც ლორში იყოს დაბადებული... ეს მცხოვრებნი მოვიდნენ უმთავრესად არზრუმიდან, ყარსიდან და ქურთისტანიდან". (ნაწილი II გვ. 302—303).

როგორც სჩანს მთელი სომხობა ნატამალია არა ძველი მოსახლეობისა, არამედ შემოხიზნულა ახლახან თათრების შიშიანობისას...

ესევე ითქმის რუსის მოსახლეობაზე... ისინიც ბოლო დროინდელი ახალშენები არიან...

მათი ჩამოსახლების მიზანი იყო მხარის გარუსება.

გასულ საუკუნეში რუსის მთავრობამ შემოიღო ეგრეთ წოდებული ცოლიანი როტები... ჯარის-კაცებს სახელმწიფო ხარჯით მოჰყავდათ თან ცოლები და სახლდებოდნენ საქართველოში... სხვა დახმარებათა შორის მათ ურიგდებოდათ სახაზო სათიბი მინდვრები...

ამნაირად გაჩნდნენ ლორის მიდამოებში სოფლები: ჯელალ-ოღლი, რუსების გერგერი, ახალი პოკროვკა, პრივოლნოე...

ვორონცოვკის მალაკნები ჩამოასახლეს 1846 წ. მათს მოყვანაში სხვა მოსაზრებებსაც ჰქონდა დიდი ადგილი...

ასე ხელოვნურად ასახლებდნენ საქართველოს განაპირა კუთხეებში ყველა ჯურის ხალხს, რომ აეჭრელებინათ მოსახლეობა და მით ეროვნულ აღორძინების საქმისათვის დაუძლეველი დაბრკოლებანი შეექმნათ...

ასეთი მოუხეშავი საშუალებებით ცდილობდნენ წაერთმივნათ საქართველო ქართველებისთვის და ცოტას გასწყდა კირალმა არ შეუსრულდათ შზამბალღამიანი მურაზი...

ჩვენ რომ რევოლიუცია არ შეგვესწრებოდა—მალე ისეთს გადაშენების გზაზე შემდგარს ვიხილავდით ჩვენს ქვეყანას, რომ საკუთარი თითებით თვალების დათხრა დაგვეჭირდებოდა, რათა არ გვეყურებინა საშიხელს სანახაობისთვის...

* * *

თუ ავინდ[illegible]

რუნველვყოთ მყუდრო სამოქალაქო ცხოვრება—ისევ უნდა აღვადგინოთ ქართველთა მოსახლეობა.

კოლონიზაცია ძველადაც მარჯვე ხერხად ითვლებოდა..

რაც უნდა იავარ ექნა მტერს რომელიმე კუთხე—ეროვნულ თავდაცვის ალღო ისეთი ძლიერი იყო, რომ ჭირში მყოფობის ჟამსაც მისს ხელ-ახლა დასახლებაზე ფიქრობდნენ...

ვახტანგ მეფის კანონების ერთი მუხლი ბატონ-ყმურ ბევრის პატიებასაც კი ჰპირდებოდა იმ ყმას, რომელიც გაექცეოდა თავისს ბატონს და 12 წლის განმავლობაში თავს შეაფარებდა თრიალეთ-ლორის არე-მარეს.

ახლაც დიდი მზრუნველობა და სარისტი უნდა გამოვიჩინოთ—რომ ამ კუთხეს დაუმკვიდროთ საქართველოს ერთგული მოქალაქენი.

ამისთვის რომ სათანადო ყურადღება მიგვექცივნა, აქამდისაც რამდენიმე სოფელს სულ იოლად ჩავასახლებდით...

ლორში არის ერთი ბერძნების სოფელი კოლოსი... ისე გამწარებიათ სიცოცხლე ნეიტრალურ ზონაში ყაჩაღების ამარად არსებობის დროს, რომ კარგა ხანია გადაუწყვეტიათ საბერძნეთს წასვლა. უკვე ორი სამი თვეა რაც ჰყიდიან სახლ-კარს და მიემგზავრებიან სამშობლოში... მათს სარჩო-საბადებელს ჩალის ფასად ჰყიდულობენ არარატის რესპუბლიკიდან შემოხიზნული ლტოლვილები, რომელთაც ნებაც კი არა აქვთ საქართველოში ცხოვრებისა და ბინავდებიან... მე ვნახე ეს სოფელი... იგი დღეს სომხურ სოფლადაა გადაქცეული და თვითეულს სახლში 3—4 კომლი შეხიხიზნულა...

ჩვენ რომ ეს სოფელი თავის დროზე შეგვეძინა და ქართველებისთვის გადაგვეცა, ბევრს მოვიგებდით...

ამიერიდან მაინც ვიფხიზლოთ...

კვლავ გავაჩაღოთ ლორში ქართული კერა...

ჭირნახულ წინაპართა გაუხელებელ სახმილით დამწვარი ლანდები ალტაცებული ყიჟილით გადმოიშლებიან და სიმხნევეს შთაუნერგენ ამ დიად საქმის [illegible]

თურდოხპირელი.

[illegible] ეთანხმება სამ[illegible] კომისიის დასკვნებს და მხოლოდ რამდენიმე შესწორება შეაქვს შიგ.

ივ. ლორთქიფანიძე (ს. რ.) აკრიტიკებს ამ დეკრეტს, მისი აზრით, წონასწორობას ადრევე უნდა მოეგვარებინათ ეს საკითხი. საერთოდ, რკინის გზის [illegible]ბას ბევრი ნაკლი აქვს და მისი გამოსწორებით—დეფიციტი დიდათ შემცირდებოდა. მთავრობას უნდა მოეწყო [illegible] და სხ. ამის გარდა მასვე უნდა ეზრუნა ელექტროფიკაციის შესახებ. თვით ეს დეკრეტი კი უფრო გააძნელებს ცხოვრებას ისედაც გაჭირვებულ ღარიბ მცხოვრებლებისათვის, მოუსპობს მათ სადმე წასვლის საშუალებას. ამიტომ ორატორი წინააღმდეგია ამ დეკრეტის.

თ. ღლონტი (ს. ფ.) აცხადებს, რომ მას კარგათ ესმის ის, თუ რატომ არის შეუძლებელი დეფიციტიანი წარმოება. მაგრამ მისი აზრით აქ არ არის მარტო რკინის გზის ტარიფის საკითხი, არამედ აქ არის ეკონომიური საკითხი. მეტად დიდი ხარჯები არის გაწეული სრულიად სხვა საჭიროებაზედ და მათი ასეთი გადიდება გამოწვეულია იმ ფინანსიურ-ეკონომიური პოლიტიკის წყალობით, რომელსაც ფაქტიურათ აწარმოებს გ. ერაძე. ამ ცუდმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გამოიწვია მრავალი ზედმეტი ხარჯები.

თვით ეს ტარიფის მომატება ვერ გამოიღებს საგრძნობ შედეგებს და პირიქით, უფრო გააძვირებს ცხოვრებას; სპეკულიანტები ერთი ორად გააძვირებენ ყველაფერს და თავის ზედმეტ ხარჯს რკინის გზაზე მომხმარებელს გადაადებენ კისერზე. ამით კი დაზარალდება ღარიბი ხალხი, მოხელენი, დაირღვევა ერთგვარი პროცენტული შეფარდება ჯამაგირების რაოდენობისა და სამგზავრო ტარიფის შორის. ამ მოსაზრებების გამო ს. ფედერალისტთა ფრაქცია ხმას მისცემს ამ დეკრეტის წინააღმდეგ.

სიტყვას იღებს გზათა უწყების წარმომადგენელი ბ. [illegible]. ის აღნიშნავს, რომ ივ. ლორთქიფანიძის მიერ წარმოდგენილი ცნობები არ შეეფერებიან სინამდვილეს. ამ საკითხის გადაწყვეტის წინ ჰქონდა დიდი მზადება: ჯერ მოწვეული იყო სხვადასხვა ორგანიზაციების თათბირი, სადაც ეს საკითხი განიხილა მთავრობამ და შემდეგ კი დაისვა დამფუძნებელ კრებაში. ამაზე ფართეთ საკითხის დასმა შეუძლებელია.

შემდეგ ორატორი ციფრებით ამტკიცებს მგზავრების სიმრავლეს ჩვენ რკინის გზაზე და ამბობს—თითქმის მთელი ჩვენი ქვეყანა დაიძრა [illegible] და აქეთ-იქეთ დადის. ეს აიხსნება ერთი მხრივ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობით, და მეორე მხრივ იმითაც, რომ თითქმის მუქთათ ვზიდავთ ხალხს. არსად არ არის ასეთი იაფი ტარიფი, როგორც ჩვენში. საერთოდ კი, ეს ტარიფის გადიდება გამოწვეულია არა იმით, რომ შემცირდეს მგზავრების რიცხვი ჩვენ რკინის გზებზე, სადაც შესუსტებულია მოძრაობა და მხოლოდ ორი მატარებელი დადის, არამედ იმით, რომ თანდათან [illegible] დეფიციტი და საჭიროა მისი შევსება.

შემდეგ ორატორი ადარებს ტარიფების სიდიდეს ჩვენში და სხვა ქვეყნებში და ამტკიცებს, რომ ჩვენ გზაზე გადიდებული ტარიფიც კი უფრო იაფი იქნება ვიდრე თუნდაც საფრანგეთის შეღავათიანი ტარიფი.

ლორთქიფანიძის შენიშვნაზე—შპალების მდგომარეობის შესახებ—ორატორი უპასუხებს, რომ ამ მხრივ არც იმდენათ უნუგეშოა საქმე. ამ მხრივ მიღებულია სხვადასხვა ზომები. გარდა ამისა, სახერხესთან განზრახული არის მაგ. 8 ვერსის რკინის გზის გაყვანა. რაც შეეხება სოხუმის შპალებს, იქიდან გადმოზიდული იყო 600,000 შპალი.

საერთოდ რკინის გზის უწყებამ იმ კრედიტების მიხედვით, რომელიც მას ჰქონდა მიცემული, შესძლო როგორც თავისი საქმეების, ისე რამოდენიმე სხვა სამუშაოს გაწევა. მაგალითად ფოთის ხიდის შეკეთება და სხვა. ხოლო რაც შეეხება იმას, თითქოს რკინის გზა ვერ აწერხებს შპალების შეცვლას და ლიანდაგ [illegible]—ეს არ შეეფერება სინამდვილეს.

რაც შეეხება პირველი კლასის ტარიფის სხვა ტარიფებთან შედარებით უფრო დიდ მომატებას—ეს აიხსნება გარდა იმისა, რომ სპეკულიანტების წინააღმდეგ არის მიმართული, რაც სხვათა შორის ყველგან არის მიღებული და სწორეთ ასეთივე ხასიათის დეკრეტი არის საფრანგეთში გატარებული, აგრეთვე იმითაც, რომ ჩვენში მოძრაობის შემცირების გამო ამ კლასის ვაგონები განსაკუთრებულათ არიან გაჭედილნი და ფუჭდებიან; ამიტომ ვადებთ დიდ ფასს, რომ ნაკლებმა ხალხმა იმგზავროს შიგ. რასაკვირველია, ასეთი დაყოფა ვაგონებისა კლასებათ არ არის ჩვენი იდეალი, ჩვენ მივისწრაფით, რომ ამ მხრით მთლიან მოძრაობასაკენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს შეუძლებელია და ამიტომ ჩვენ გვინდა თანასწორათ განაწილდეს მგზავრები სხ. და სხ. კლასის ვაგონებს შორის.

[illegible] (ს. დ.) [illegible] ვერ მოგვაყენებს, რამდენსაც შენი თავით. მე მოგახსენებთ ამ პატარა, ოპოზიციონურ ფრაქციებზე, მე არ [illegible] ვრცლათ, მე მინდა ერთ გარემოებას მივაქციო ყურადღება. მათ თავისი გამოსვლით უნდოდათ მოეგოთ ხალხის გული, მათ დამცველებათ გამოსულიყვნენ. მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ მუშა ხალხს უნდა ტარიფების გადიდება, არ სურთ ტყუილი მუშაობა მათ სურთ, რომ მათი შრომით თითქმის მუქთათ არ სარგებლობდნენ ხშირათ გაიგონებთ იმათგან, ვინც ბილეთებ ყიდულობენ— ეს რა იაფათ გვატარებენო.

რაც შეეხება იმ საკითხს, რომ ამით ფულის კურსი კიდევ უფრო დაეცემაო, უნდა ვსთქვა, რომ ეს მეშვიდე თვეა, რაც ტარიფები არ მომატებულა, მაგრამ მაინც ეცემა კურსი. და სხვათა შორის, ამ კურსის დაცემას ძლიერ უწყობს ხელს ზოგიერთი ორატორების მიერ აქ წარმოთქმული სიტყვები.

შემდეგ ორატორი ეხება მომარაგების სამინისტროს მოღვაწეობის კრიტიკას, და ამბობს, რომ ეს კრიტიკა არის ერთგვარ წვრილმანებზე აგებული და მას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. თვით მომარაგების სამინისტრო დიდ როლსა თამაშობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურათ აღორძინების საქმეში. ბოლოს ორატორი აკრიტიკებს ოპოზიციის კრიტიკის მეთოდს, და ურჩევს მათ მოჰკიდონ ხელი ისეთ ფაქტებს და გარემოებებს, რომლებიც მართლაც და ოპოზიციონური არიან.

ივ. ლორთქიფანიძე (ს. რ.) თავის მეორე სიტყვაში ხელმეორეთ იმეორებს თავის არგუმენტებს და უპასუხებს გზათა უწყების წარმომადგენელსა და ვ. წულაიას.

მოხსენების უკანასკნელი სიტყვის შემდეგ, დეკრეტი დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ იქნა. წინააღმდეგ მისცეს ხმა სოც.-რევ. და სოც.-ფედერალისტებმა.

პროფესიონალურ კავშირებში

1 თებერვლის სხდომაზე საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა იკისროს საქართველოს მუშათა შორის თავდაცვის ფონდის სასარგებლოთ შემოწირულებების შეგროვების ინიციატივა. ამ მიზნით მან გადასწყვიტა მიმართოს თფილისისა და სხვა პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, რათა მათ ენერგიული მონაწილეობა მიიღონ ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ.

ქსანის აგურის ქარხანაში შრომის პრემიალურ დაჯილდოვების შესახებ აღმ. კომიტეტმა დაადგინა დროებით, ცდის სახით, შემოღებულ იქნას პრემიალური სისტემა ხსენებულ ქარხანაში. დადგენილ იქნა წინადადება მიეცეს სატარიფო პალატის მუშათა სექციას გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი შრომის სამინისტროსთან არსებულ საპრემიო ბიუროს.

პროფესიონალურ კავშირებში მოსამსახურეთა სასურსათო კომიტეტის შუამდგომლობით, აღმ. კომიტეტმა დაადგინა მიეცეს ხსენებულ მოსამსახურეთ სასადილოს მოსაწყობათ, სუბსიდიის სახით, 20,000 მანეთი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 1 თებერვალს ნაძალადევის თეატრის შენობაში შესდგა ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონის წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი:

1) კოლექტივის ერთი წლის მუშაობა;
2) არჩევნები კოლექტივის, თფილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

მოხსენებას კოლექტ. მოღვაწეობის შესახებ აკეთებს კოლექტივის მდივანი. პირველად მომხსენებელი ეხება კოლექტივის მუშაობის ფინანსიურ მხარეს.

1920 წლის 1 ლ იანვრისათვის კასაში დარჩა 7900 მ. 36 კ.

შემოსავალი იყო: ერთდროული გადასახადი—11.430 მ. საწევრო გადასახადი—183 671 მ., შემოწირულება—74 მ., საწევრო წიგნაკებიდან—12,326 მ., ლიტერატურიდან და გაზეთებიდან—9071 მ, დაბრუნებული სესხი—16000 მან., სულ 232 572 მ. სულ ნაშთით—240 532 მ. 36 კ.

გასავალი იყო: საკანცელარიო ხარჯები—3452 მ., ლიტერატურა—1120 მ., ჯამაგირი მოსამსახურეებს—72 549 მ., ინვენტარი—1600 მ, სესხათ მიცემული—1200 მ., აპროცენტო გადასახადი თფილისის კომიტეტს—9 8500 მ., მოულოდნელი ხარჯები—9350 მ, წვრილმანი ხარჯები, 4185 მ. ქვეკოლექტივების წვრილი ხარჯები—965 მ, დახოცილ ამხანაგებს—1000 მ., სულ 236,271 მ. რჩება კასაში 1-ლ იანვარს 1921 წ. —4261 მ. 36 კ. ბალანსი—240 532 მ. 36 კ. რჩება საწევრო მარკებით—2413 ცალი; საწევრო ბილეთები—1850 მან. გაზეთების ანგარიშები სწარმოებს ცალკე, რომლებსაც ყოველთვიურად ამოწმებს სარევიზიო კომისია; კოლექტივის შემოსავლის ერთათ-ერთი წყარო არის საწევრო გადასახადი.

შემდეგ [illegible] ეხება კოლექტივის იდეიური მუშაობას. კოლექტივს ერთი წლის განმავლობაში ჰქონია მოწვეული 44 სხდომა; მოუწვევია [illegible] სხდომა; მათში არაჩვეულებრივი 3 სხდომა, კოლექტივისა და ქვე-კოლექტივის გაერთიანებული სხდომა ერთი, საზოგადო კრება 14 ჯერ, რომლებზედაც მოხსენებები წაკითხულა შემდეგ თემებზე: ალ. ლომთათიძე—პარტიულ კურსებზე [illegible], ნოე რამიშვილი—მიმდინარე და პარტიული კითხვები, დ. [illegible]შვილი—რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა, გ. ხუნდაძე—საბჭოთა მთავრობა და მისი მოღვაწეობა სახელმწიფოს სხვადასხვა დარგებში, ალ. [illegible]თათიძე—პარტიული ყრილობის მუშაობა, ნოე რამიშვილი—ბოლშევიკური დატრიალება სომხეთში და მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა, ი. გვარჯალაძის მოხსენება არ შესდგა. რკინის გზის სასურსათო კომიტეტის და პროფ. კავშირების ცენტრ. გამგეობის ს.-დ. ფრაქციის მუშაობის შესახებ მოხსენება გადაიდო. კოლექტივის სხდომები არ შემდგარა 14-ჯერ. საერთოდ, ყველა სხდომებზე დასწრებია 340 წევრი. საშუალო რიცხვით თითო სხდომაზე 21-დან ესწრებოდა 12 წევრი.

კოლექტივი თავის სხდომებზე არჩევდა პოლიტიკურ-ეკონომიურ ხასიათის კითხვებს; განსაკუთრებულ ყურადღებას კოლექტივი აქცევდა სახელმწიფოს აღმშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგალითად: ბათომის საკითხი, ბოლშევიკური საფრთხე, კონსტიტუციის განხილვა, სომეხ თათართა შეტაკება, მთავრობის უკანასკნელი ბრძანება, პარტიულ წევრებიდან გვარდიის „რეზერვის" შედგენა და სხვა.

კოლექტივი საკითხს მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ სთვლიდა პირველხარისხოვან საკითხად. კოლექტივის მიერ გამოტანილი დადგენილებები მუშებისათვის თავის დროზე შეშის მიწოდების, პურის ნორმების გაუმჯობესების, ნარდი მუშაობის შემოღების, ხელფასის მომატების შესახებ და სხვა. ეგზავნებოდა ცხოვრებაში გასატარებლათ ადგილობრივ რკინისგზელების პროფესიონალურ კავშირის ს. დ. ფრაქციებს. უკანასკნელთა ყურადღება კოლექტივს მიუქცევია აგრეთვე რკინისგზელების საავადმყოფოს მდგომარეობაზე. კოლექტივმა მოითხოვა, მაგ., ახსნა განმარტება, თუ რათ დატოვა გამოცდილმა ექიმმა შატილოვმა საავადმყოფო.

კოლექტივის კულტურული მუშაობა გამოიხატა აგრეთვე რაიონში პარტიულ ორგანოს—გაზ. „ერთობის" გავრცელებაში; გაზეთზე ფასის მომატებამ გამოიწვია ხელის მოწერთა რიცხვის შემცირება: დღეში ვრცელდებოდა 7 ცალი. კოლექტივმა ასეთ მდგომარეობიდან გამონახა გამოსავალი. მთავარ სახელოსნოების, დეპოს და საქონლ. სადგურის მუშებს უგზავნის გაზეთის განსაზღვრულ რიცხვს 20 მ. მაგიერად—10 მანეთად ცალს. აქედან გამოწვეულ ზარალს კოლექტივი ჰფარავს თავის თანხიდან. ამ ჟამად რაიონში ვრცელდება გაზ. „ერთობა" დღეში 100 ცალზე მეტი.

კოლექტივი ჯერ-ჯერობით არ ჰფიქრობს თეატრის და კლუბის გახსნას, ვინაიდან რაიონში რკინის გზელების პროფესიონალურ კავშირს უკვე აქვს პლეხანოვის სახელობაზე აშენებული თეატრი, სადაც რუსულ და ქართულ ენებზე იმართება წარმოდგენები და მუშებს შეუძლია ამ მხრივ იქ დაიკმაყოფილონ თავის სულიერი მოთხოვნილება.

კოლექტივმა მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ვერ შესძლო—გაეხსნა რაიონში პარტიული კურსები.

კოლექტივი ორგანიზაციულ მუშაობის სფეროში ღებულობდა სათანადო ზომებს მჭიდროთ დაეკავშირებინა ორგანიზაციის წევრები თავის ხელმძღვანელ ორგანოებთან.

31 დეკემბერს 1920 წელს პირველ რაიონში ირიცხებოდა 4300 წევრი: მამაკაცი—4100, დედაკაცი—200 წევრი. ეროვნების მიხედვით იყო: ქართველი—3804; სომეხი—250; რუსი—147; ოსი—26; პოლონელი—24; გერმანელი—23; თათარი—10, ებრაელი—4; ბერძენი—2; აისორი—1; ქისტი—1; ბაირიელი—1, უკრაინელი—1, მოლდაკანი—1; იტალიელი—1 და ლეკი—1. პროფესიის მიხედვით; მასწავლებელი—8; კანტორის მოხელე—114; ოჯახის ქალი (დიასახლისი)—120; ბებია ქალი—3; ფერშალი—5; მოწაფე 15, ფოტოგრაფი 3. მილიციონერი 52, წვრილი ვაჭარი 20, ტეხნიკი 13, ნოქარი 5, ფარმაცევტი 4, მიწის მზომელი 1, გზის ოსტატი 1, კომისარი 1, კბილის ექიმი 1, ბეითალი 2, ექიმი 1, სა[illegible]ების და 2, მუშები და ხელოსნები 3926.

1-ლ რაიონში შედის სამი ქვე კოლექტივი: მთავარ სახელოსნოების 1600 წევრი, დეპოს 800, საქონლის სადგურის 1100, ქალთა ორგანიზაცია 160 წ. და ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია 80 წევრი; დანარჩენი კი წევრნი არიან ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებებიდან.

აღნიშნულ ორგანიზაციების წარმომადგენლების საშუალებით ყველა ის კითხვები, რომლებიც ირჩეოდა კოლექტივში, გადაეცემოდა განსახილველად [illegible] ორგანიზაციებშიაც. [illegible] ნასკვნელებს ეძლეოდათ საშუალება თავის დროზე აღენიშნათ კოლექტივის მოღვაწეობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ქვე კოლექტივები თავის მხრივ იწვევდნენ საზოგადო კრებებს და ლექტორებს მოხსენებების და ლექციების წასაკითხავად, აწარმოებდენ თავის წევრების რეგისტრაციას; რეგისტრაციის საქმე კარგათ აქვს დაყენებული სადგურის ქვე-კოლექტივს; ქალთა ორგანიზაცია სდგას სათანადო სიმაღლეზე. საზოგადო კრებებს იწვევს სისტემატიურად კვირაში ერთხელ; მათ კრებებზე იკითხება მეცნიერულ ხასიათის ლექციები; საწევრო გადასახადი შემოაქვთ მამაკაცებზე უკეთესად.

კოლექტივს ქვე-კოლექტივების დახმარებით მიუღია მხურვალე მონაწილეობა მომენტის გამომხატველ მანიფესტაციებში.

კოლექტივის მოღვაწეობა პარტიულ იდეურ მუშაობის სფეროში ვერ იყო სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. მის მუშაობას აფერხებდა მუშათა კლასის გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობა. კოლექტივი ყველა პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხების გარჩევის დროს გამოდიოდა უმრავლესობის თვალთახედვის ისრიდან. ამას თუ დავუმატებთ, რომ პირველი რაიონი თავის შემადგენლობით მუშური ორგანიზაციაა, მის ხელმძღვანელ ორგანოშიაც თითქმის სულ მუშები არიან, რომლებიც დღის 4 საათამდე მუშაობენ ქარხნებში და თავისუფალი დრო სულ ცოტა აქვს; რომ პირველ რაიონიდგან ბევრი მომზადებული მუშებია წაყვანილი სახელმწიფოს სხვა და სხვა დაწესებულებებში და ორგანიზაციებში,—მაშინ უნდა ითქვას, რომ ასეთ მძიმე პირობებში კოლექტივმა გააკეთა ის, რის გაკეთებაც შეიძლებოდა.

კოლექტივის ერთი წლის მოღვაწეობის შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა 1-ლი რაიონის ერთი წლის მოღვაწეობის შესახებ კოლექტივის მდივნის და სარევიზიო კომისიის წევრის ამხ. ნაზარბეგოვის მოხსენებები,—ამავე რაიონის წევრთა საზოგადო კრება კმაყოფილია კოლექტივის მუშაობით, უცხადებს მას მადლობას და გადადის მორიგ კითხვაზე.

შემდეგ მოკლე მოხსენებას აკეთებს თფილისის კომიტეტიდან ამხ. დ. ლორთქიფანიძე კრება ადგენს, რომ თფილისის მოღვაწეობის შესახებ დაწვრილებითი მოხსენება გამოცხადებულ იქნეს პრესაში.

კრებას ერთხმად გამოაქვს დადგენილება გაეგზავნოს ამ ჟამად ფრონტზე მყოფ ნაძალადევის უბნის [illegible] გვარდიელებს შემდეგი შინაარსის დეპეშა: საქ. სოც.-დემ. მუშ. პარ. პირველ რაიონის წევრთა საზოგადო კრება გამოსთქვამს სიხარულს, რომ მის წიაღიდან გამოსული მებრძოლები სახელოვნად სდგანან თავიანთ პოსტზე. დიადია თქვენი ბრძოლის ნაყოფი; იმედია მალე გაიფანტება შავი ღრუბლები და დაუბრუნდებით თქვენ საყვარელ საქმიანობას: გისურვებთ ჯანმრთელობას! გაუმარჯოს სოციალიზმს! კრების პრეზიდიუმი.

ბოლოს მოხდა არჩევნები. არჩეულ იქნენ კოლექტივში: 1) ჯიბლაძე ნოე 2) მეგრელიშვილი თეოფანე, 3) გელენიძე ევნატი, 4) მახარაძე არსენი, 5) ასამბაძე სიმონი, 6) სალუქვაძე რაჟდენი, 7) ძამანაშვილი მიხეილი, 8) ბახტაძე გიორგი, 9) ლორთქიფანიძე დავით 10) შავლოყაძე ილარიონ 11) [illegible]ლაძე ევგენი, 12) ძნელაძე სილოვანი, 13) ყიფიანი მათე, 14) ნიკურაძე ივანე, 15) დავითაშვილი ანდრია, 16) ბურჭულაძე სერაპიონი, 17) ლუკაშევიჩი ალექსანდრე, 18) იმერლიშვილი დავით, 19) ცრიძე სამსონი, 20) მარგველაშვილი ანტონი, 21) დოლიძე სოლომონი, 22) ლუკაშევიჩი მარიამი, 23) მარიამიძე დავითი.

თფილისის კომიტეტში: 1) მეგრელიშვილი თეოფანე, 2) ჯიბლაძე ნოე, 3) [illegible]ძე ილარიონი, 4) ლორთქიფანიძე დავით, 5) კალაძე დიმიტრი, 6) ჭელიძე გალ., 7) ნინუა გიორგი, 8) ბახტაძე გიორგი, 9) კუპრაშვილი ლავრენტი, 10) მარიამიძე დათიკო,

სარევიზიო კომისიაში: 1) ჭყონია აკაკი, 2) ვაშაკიძე იაკობი, 3) კანდელაკი ვლადიმერი; კანდიდატათ წივწივაძე.

მდივანი გ. ფოფხაძე.

პროვინცია

ნოჯიხევის თემი (ზუგდ. მაზრა). ამ სათემოში, სახელდობრ გურიფულში უმრავლესობა მოსახლეობისა იყო შემოხიზნული მემამულეთა მიწაზე და მას შეუყიდული ჰქონდა მხოლოდ სასახლეკარო მიწები. სახნავ-სათესი და ტყე კი იყო მემამულისა. რევოლუციის შემდეგ, მართალია, უფლება მიეცათ სახნავ სათესი ადგილებით სარგებლობისა, მაგრამ შეშის მხრივ განიცდიან დიდ გაჭირვებას. ახლო მდებარე არა სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეთ კი მხოლოდ მოხნილი სოფლის ჩარჩები სარგებლობენ თავისუფლად. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, სანწუხაროდ, [illegible] თავის [illegible] ხალხს კი არ [illegible] გამოსთქვამს. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

ასეთსავე მდგომარეობაში არიან ამ თემის სხვა კუთხეების მცხოვრებნიც. ის ტყეები, რომელიც უწინ მემამულეების ხელში იყო,—ახლა გადარიცხულია ფონდში. ასეთ ტყეებს დამცველიც არა ყავს. სოფლის ნაძირალები, თურმე, ამით სარგებლობენ, პატიოსანი გლეხები კი მოპარვას თაკილობენ და სიცივით კანკალებენ. ნუ თუ ეს ყურადღების ღირსი არ არის?!

აქვე უნდა აღვნიშნოთ საფონდო ადგილის მითვისების შემდეგი ფაქტები:

1) თემის სადგილ-მამულო კომისიას დასამუშავებლად სამი ქცევა მიწა მიუცია ს. ბიის მცხოვრებ ვიღაც ანდრონიკ ალექსანდრიასთვის, რომელიც წასულა სხვა სოფელში და საფონდო მიწა კი მიუყიდია გუჯუ და აქსენტი შონიებისთვის ორი ათას მანეთად. უკანასკნელს კი „სანახევროდ"—სანადელოდ გადუციათ მცირე მიწის პატრონ ჭითაშვილისთვის.

2) ზემო დასახელებულ გუჯუ შონიას მიუტოვებია თავისი ეზო და უნებართვოდ დასახლებულა საფონდო მიწაზე.

3) ნოჯიხევის მილიციის უფროსს შორიას აგვისტოს დამლევს შემოულობავს ფონდის ადგილი (დაუფლების მიზნით), სოფლისთვის გზაც კი არ მიუცია.

4) ს. ხობის მღვდელ ნესტორ სასანიასთვის „რაღაც მახინაციებით" სადგილ-მამულო კომისიას მიუცია დასამუშავებლად ს. ხობის სკოლის საეზოვე ადგილი იმ პირობით, რომ ეს ადგილი მღვდელს თავის ეზოსთვის არ მიემატებია და შემოდგომის შემდეგ ლობეც აეღო. მაგრამ მღვდელს სკოლის საეზოვე ადგილი თავის ეზოსთვის მიუმატებია და ისე ეპყრობა, როგორც საკუთრებას.

5) ნოჯიხევის მცხოვრებ ალ. ცხადაიას თავის ნებით გაუკაფავს ფონდის ტყე ს. ხობში მდებარე; შეშა სახლში წაუღია, მიწა კი—დაუთესია სოფელს ატყუებდა; მემამულეებს ეკუთვნისო, ყოფილ მემამულეს ეუბნეოდა.—კომისიამ მომცაო.

6) ს. [illegible]ხორის მცხოვრებნი, როგორც გადმოგვცემენ, ლამობენ თავიანთ შორის გაინაწილონ მათ ახლოს მდებარე ფონდის ტყე.

საჭიროა ზემო მოყვანილ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ იქნას სასტიკი ზომები მიღებული. ყველა ზემო მოყვანილი პირები პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი. მართალია, როგორც მოგახსენეთ, ღარიბ ხალხს სიცივით აკანკალებს, ფონდის ტყიდან მოპარვას ის არ კადრულობს. კანონიერი ნებართვის მიღება კი მისთვის თითქმის შეუძლებელია. საჭიროა თანახმად არსებული კანონისა არა სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები გადაეცეს ერობას. შეშა კი მიეცეს მცხოვრებთ; ღარიბებს, თუ შესაძლებელი იქნება, უფასოდ თითო საჟენი.

ძველი მუშა.

თავდაცვის ფონდი

124) ჰენრიხ ვიტცელისაგან პერანგი 4 ცალი, სარეცხი საპონი 12 ნაჭერი, ასანთი 37 კოლოფი, ფლიაშკა 2.

125) ივანე კასპარის ძე ვიტცელისაგან თფილი პერან. ამხ 4 ცალი, მუცელზე ასაკრ. თფილ 4 ცალი, წინდა 2 წყ, სარეცხი საპონი 12 ნაჭ, ასანთი 40 კოლ., რკინის კოვზები 12 ცალი.

126) ალბერტ. კასპარის ძე ვიტცელისაგან მუცელზე ასაკრავი 5 ცალი, პერანგის ამხან. 4 ცალი, სარეცხი საპონი 3 გირ, ასანთი 40 კოლ.

127) გილდო რიჩარდის ძე ვაკასაგან, პერანგის ამხ. 1 ცალი, პერანგი 1 ცალი. წინდა 1 წყ. მუცელზე ასაკრავი 4 ცალი, სარეცხის საპონი 3 ნაჭ., ასანთი 50 კოლ.

128) რკინის გზელთა კავშირის ცენტრალურ გამგეობისაგან თფილი საცვალი 30 წყ. იგივე 12 წყ., თუთუნი დაჭრილი 10 ფ. 20 გ., შაქარი რაფინადი 2 ფუთი, ფანქარი 5 დუჟ., ნემსები 10 პაჩკა.

რედაქტორი [illegible]

განცხადებანი

ექიმი
ვ. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავადმყოფობებით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული სიფილისით (წამ. „606" და „914") ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, [illegible] დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს ტელეფონი 18—95. (7—თებ.

ყოფ. გიმნაზ. დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე
ამზადებს
საშუალო სასწავლებლის
ყოველ კლასებში შესასვლელად და 4, 6 კლასის მოწმობაზე პლეხანოვის და ალექსის მთ. კუთხე 25—5, 9—12 ს. 4—6 ს. (121—6—5)

[illegible] მასწავლებელი
ამზადებს ქართულ და რუსულ სასწავლებლებში [illegible] მიხეილის ქუჩა № 124. [illegible] 3—4 [illegible]
(3108—1—1)

[illegible]
[illegible] („606" და „914" შხაპუნება). [illegible] 8—9 საათ. [illegible] 5—7 საათ. [illegible] რკინის გზის [illegible] (29—თებ.

სამკურნალო
[illegible]
მიხეილ გედევანიშვილი
დილით 1—2 საათ., საღ. 6—7 საათ. [illegible] (1- მარტ.

ხორავა
[illegible] დილის 10—2 საათამდე საღამოთი 4—7 [illegible] სახლი № 1. [illegible] 28. (22 თებ.

[illegible]
[illegible] 4—6 საათამდე [illegible] № 13, [illegible]

ლევენშტეინი
[illegible] № 5, [illegible] 11—12 საათ., [illegible] 4—7 საათ. [illegible] 12—46.
21—თებ.

ქალთა
სამკურნალო
[illegible]
[illegible] „606" და „914".
[illegible] 4—8 ს. [illegible] № 22. [illegible] 16—87. (1 თებ.

სამკურნალო
[illegible]
[illegible] № 14 [illegible] № 5—9 [illegible] (28—თებ.

[illegible] „606" და „914" [illegible] 9—11 [illegible] 5—8 საათამდე. [illegible] (13 თებ.

[illegible]
[illegible] („914" და „606" შხაპუნება) [illegible] 12—2 [illegible] 6—8 ს. [illegible] № 8 [illegible] (7 თებ.

რეზო მაჩაბელი
[illegible] (606—914 შხაპუნება) [illegible] 9—12 ს. [illegible] 6—8 ს. საღ. [illegible] 12—1 [illegible] 5—6 საღ. [illegible] № 4, [illegible] 22—თებ.

[illegible]
[illegible] (606 და 914) [illegible] № 5. [illegible] 10 12 [illegible] 5 7 საათამდე. 16—თებ.